დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნოდარ ანგურიძე

წევრები:

სოფიკო ბოქოლიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
რომანი გაბუნია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ინგა ხავთასი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
სალომე ასათიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248386615

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხელვაჩაური, სოფელი კირნათი
ფაქტობრივი მისამართი	ხელვაჩაური, სოფელი კირნათი
საფოსტო ინდექსი	6410
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/535
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kirnati@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591718949

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 17 მარტის MES 1 26 0000322434
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 20 და 21 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	პროგრამა ხორციელდება სამ მისამართზე, თითო მისამართზე ერთ შენობა-ნაგებობაში ხელვაჩაური, სოფელი კირნათი, სოფელი ზედა კირნათი და სოფელი ნაკირნათევი
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	პროგრამა ხორციელდება ერთ მისამართზე, ერთ შენობა-ნაგებობაში ხელვაჩაური, სოფელი კირნათი
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	პროგრამა ხორციელდება ერთ მისამართზე, ერთ შენობა-ნაგებობაში ხელვაჩაური, სოფელი კირნათი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

დაწესებულებაში ვიზიტი დაიწყო დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს 10:00. ვიზიტზე ერთდროულად მივედით თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ექსპერტი და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანამშრომელი.

სკოლაში მისულებს, სკოლის წარმომადგენელმა გვიჩვენა ჩვენთვის გამოყოფილი სამუშაო სივრცე. გარდა ამისა, სკოლამ საგნობრივ ექსპერტებთან დისტანციურად ჩართვისთვის გამოყო ცალკე სივრცე. ვიზიტის მეორე დღეს დავათვალიერეთ სკოლის სხვა შენობები სოფელ ზედა კირნათში, სოფელ ნაკირნათევში და სოფელ კობალეთში, რომელსაც სკოლა საავტორიზაციოდ არ წარადგენს. ვიზიტი ორივე დღეს წარიმართა მშვიდ და თანამშრომლურ გარემოში. დღის წესრიგით განსაზღვრული აქტივობები განხორციელდა ისე, როგორც იყო დაგეგმილი. საგნობრივ ექსპერტებთან მასწავლებლების გასაუბრება ხდებოდა შეთანხმებული განრიგის მიხედვით. მეორე დღის ბოლოს სკოლის წარმომადგენლებთან ერთად შევაჯამეთ გავლილი ვიზიტი, გავაცანით მიგნებები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ----168------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.4.	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლამ უზრუნველყოს ფიზიკის, ხელოვნების, მუსიკის და სპორტის საგნებზე კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კადრების დასაქმება, არაუგვიანეს 18.11.2026 წლისა.*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი*	1. *სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ პერიოდში 21.04.2026-21.11.2026 უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან სოფელ ზედა კირნათისა და ნაკირნათევის შენობებისთვის.* 2. *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ პერიოდში 21.04.2026-21.11.2026 უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება ზედა კირნათის შენობისთვის.*

	მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.5.1.4.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლ ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში აღნიშნული პერიოდის (31.12.2025-30.11.2026) განმავლობაში უზრუნველყოს სკოლის სამივე შენობის სრულად ადაპტირება (იხ. ინდიკატორის აღწერა).*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N2.2.2.3.	*საბაზო და საშუალო საფეხური*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მითითებულ პერიოდში (31.12.2025 – 30.11.2026) უზრუნველყოს სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულყოფილად მოწყობა და აღჭურვა*
ინდიკატორი N2.2.2.4	*დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლამ უზრუნველყოს ფიზიკის, ხელოვნების, მუსიკის და სპორტის საგნებზე კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კადრების დასაქმება, არაუგვიანეს 18.11.2026 წლისა.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***

ინდიკატორი N 1.2.1.1.	*სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს*	*რჩევა: სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს, რაიმე საქმიანობის განხორციელებისას, ჯერ დაამტკიცოს განხორციელების მარეგულირებელი წესი და შემდეგ განახორციელოს აქტივობა და არ მოიქცეს პირიქით, ისე, როგორც სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცებისას მოიქცა (იხ. ინდიკატორის აღწერა).*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N3.1.2.2.	*სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა*	*სკოლას ეძლევა რჩევა: თუ სკოლა აპირებს, რომ რომელიმე დოკუმენტი გამოიყენოს თავის საქმიანობაში, პირველ რიგში დაამტკიცოს სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესების შესაბამისად (იხ. ინდიკატორის აღწერა).*
ინდიკატორი N3.4.1.2.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლას ეძლევა რჩევა: გონივრულ ვადაში უზრუნველყოს სკოლის ყველა შენობისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა (იხ. ინდიკატორის აღწერა).*
ინდიკატორი N3.4.1.3.	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას*	*სკოლას ეძლევა რჩევა განსაზღვროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი მეორე პირიც, რათა უზრუნველყოფილი იყოს ამ პირების მიერ დაკისრებული მოვალეობების განხორციელება სქესის მიხედვით.*
ინდიკატორი N3.4.1.8.	*სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის*	*სკოლას ეძლევა რჩევა: იზრუნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღებაზე.*
ინდიკატორი N3.5.1.3.	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	*სკოლას ეძლევა რჩევა: დაამუშავოს ბიბლიოთეკის ყველა წიგნი საბიბლიოთეკი წესის შესაბამისად და დაასრულოს ანბანური წესით თაროებზე მათი განალაგება (იხ. ინდიკატორის აღწერა).*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1	*დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *სასურველია კურიკულუმების შედგენისას მეტად იქნეს გათვალისწინებული ადგილობრივი ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოსა და ტრადიციების შესწავლა.*
ინდიკატორი N 2.1.2.1	*დაწყებითი საფეხური*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები -საგანი "ჩვენი საქართველო"*** *მოსწავლეებს განსაკუთრებით მე-5 კლასში ეცადეთ შეურჩიოთ ისეთი შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც იქნება უფრო მორგებული და ადვილად შესრულებადი, თუნდაც ჯგუფური მუშაობა რაიმე პროდუქტზე, ვიდრე ეს იქნება ინტერვიუს აღება ან რეპორტაჟის მომზადება*
ინდიკატორი N 2.1.2.1	*საბაზო საფეხური*	***სახელმწიფო ენა:*** *საბაზო საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შესრულებული შემოქმედებითი ბუნების დავალებები სასურველია აისახოს კურიკულუმებში.*
ინდიკატორი N 2.1.2.1	*დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური*	***მათემატიკა:*** *(ეხება სამივე საფეხურს) ან ყველა შერჩეული დავალებისთვის მოამზადოს სრულფასოვანი ბარათები (პირობა, მიზანი, შესრულების ეტაპები, შეფასების კრიტერიუმები, მოსალოდნელი შედეგი); ან ამოიღონ კურიკულუმიდან ის*

		დავალებები, რომელთა დეტალური შინაარსიც არ მოეპოვებათ. ეს უზრუნველყოფს კურიკულუმის პრაქტიკულ გამოყენებადობას და გაზრდის მისადმი სანდოობას როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის ინსტრუმენტის.
ინდიკატორი N 2.1.2.1	*დაწყებითი საფეხური*	***სპორტი:*** *სასურველი იქნება, სამომავლოდ, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო იყოს ერთნაირი დიზაინით.*
ინდიკატორი N 2.1.2.1	*დაწყებითი საფეხური*	***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:*** *სასურველია სკოლის მიერ წარმოდგენილ მე-4 კლასის ბუნების კურიკულუმში არსებული თემები თანხვედრაში მოვიდეს ე.ს.გ-თი გათვალისწინებულ თემებთან. კერძოდ ე.ს.გ-თი გათვალისწინებულია ორი თემა, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში კი წერია ხუთი.*
ინდიკატორი N 2.1.2.2.	*საშუალო საფეხური*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმის თემატიკა მოცემულია ძველი სახელმძღვანელოში არსებული თემებით და საკითხებით, სასურველია ესგ-ს შესაბამისად გაკეთდეს კურიკულუმი, როგორც ისტორიაში ისე საქართველოს ისტორიის საგნისთვის.*
ინდიკატორი N 2.1.2.2.	*დაწყებითი საფეხური*	***ესთეტიკური აღზრდა:*** *სასურველია:* • *მე- 5 და მე-6 კლასის ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმი დარედაქტირდეს და კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სტრუქტურული ერთეულები იმ პრინციპით შეივსოს როგორც დანარჩენი კლასის საგნობრივი კურიკულუმი.* • *საგნობრივ კურიკულუმში სავალდებულო თემატური ბლოკები ჩაიწეროს იმ პრინციპით, როგორც ეს დაწყებითი კლასების საგნობრივ კურიკულუმშია გაკეთებული, გამოიყოს*

		მისთვის ცალკე ჰორიზონტალური ველი და ამის შემდეგ განისაზღვროს სარეკომენდაციო თემები , რომელიც სასწავლო დღეების მიხედვით იქნება გათვალისწინებული.
ინდიკატორი N 2.1.2.2.	*დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური*	***მათემატიკა: (ეხება სამივე საფეხურს)*** *მიზანშეწონილია სკოლის ადმინისტრაციამ პერიოდულად გადაამოწმოს, რამდენად შეესაბამება სასწავლო პროცესი კურიკულუმში დაგეგმილს, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტის პრაქტიკულ გამოყენებას.*
ინდიკატორი N 2.1.2.3	*დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური*	***უცხოური ენები:*** *სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, სასურველია სკოლამ გააფართოოს საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების პრაქტიკა. მრავალფეროვანი რესურსების ინტეგრირება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ენის ოთხივე ძირითადი უნარის მოსმენის, მეტყველების, წერისა და კითხვის თანმიმდევრულ განვითარებას. (ეხება სამივე საფეხურს)*
ინდიკატორი N 2.1.2.3	*დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური*	***მათემატიკა:*** (ეხება სამივე საფეხურს) *სასურველია, კურიკულუმში რესურსების მითითება იყოს ერთგვაროვან ფორმატში. მიზანშეწონილია სამივე საფეხურზე დაინერგოს რესურსების აღწერის ერთიანი სტილი, სადაც თითოეული რესურსი დაკონკრეტდება თემა-საკითხის მიხედვით. მაგალითად, ყველა რესურსს შეიძლება ჰქონდეს ერთნაირი ფორმატი: რესურსის ტიპი (ვიდეო, სტატია, პლატფორმა); დასახელება; URL მისამართი) ეს უზრუნველყოფს, რომ მასწავლებელმა ზუსტად იცოდეს, როდის და რა მიზნით გამოიყენოს კონკრეტული რესურსი, რაც პირდაპირ შეუწყობს ხელს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.*

ინდიკატორი N 2.1.2.4	*საშუალო საფეხური*	***მათემატიკა:*** *(ეხება სამივე საფეხურს) მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს, რომ საგნობრივი კურიკულუმი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ერთმანეთთან შეთანხმებული იყოს და მასწავლებლებს ჰქონდეთ სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის კონკრეტული სტრატეგიები.*
ინდიკატორი N 2.1.2.5	*დაწყებითი და საბაზო საფეხური*	***ესთეტიკური აღზრდა:*** *დაწყებით და საბაზო საფეხურზე სასურველია სკოლამ შექმნას სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში კონკრეტულ თემაზე თუ საკითხზე მორგებული როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საგნობრივი სტანდარტის გათვალისწინებით.*
ინდიკატორი N 2.1.2.5	*დაწყებთი, საბაზო და საშუალო საფეხური*	***მათემატიკა:*** *(ეხება სამივე საფეხურს) მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები ყველა საფეხურისა და ძირითადი თემისთვის და უზრუნველყოს, რომ ისინი რეალურად გამოიყენებოდეს სასწავლო პროცესში.*
ინდიკატორი N 2.2.1.1	*დაწყებთი, საბაზო და საშუალო საფეხური*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *სასურველია კურიკულუმი ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის კურიკულუმი) ასევე საგანმანათლებლო პროექტებზე მუშაობის დროს პროექტი-"მუზეუმი სკოლაში", რომელიც ითვალუისწინებს ამ კუთხისათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული რესურსების თავმოყრას და მის ინფორმირებას საზოგადოებისათვის' -დაიგეგმოს და ჩატარდეს საგანთა შორის ინტეგრირებული გაკვეთილები.*

ინდიკატორი N 2.2.1.1	*დაწყებთი, საბაზო და საშუალო საფეხური*	***მათემატიკა:*** *(ეხება სამივე საფეხურს) მიზანშეწონილია სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს, რომ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები რეალურად გამოიყენებოდეს სასწავლო პროცესის წარმართვისას და არა მხოლოდ დოკუმენტაციის მიზნით. ამისათვის სასურველია ადმინისტრაციამ პერიოდულად გადაამოწმოს, თუ რამდენად ეყრდნობა მასწავლებელი კურიკულუმს პრაქტიკაში.*
ინდიკატორი N 2.2.1.3	*დაწყებთი,*	***სახელმწიფო ენა:*** *სკოლაში არსებობს კონკრეტული შემოქმედებითი დავალებებისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმების შექმნის საუკეთესო პრაქტიკა, სასურველია, ამ პრაქტიკის გათვალისწინებით, ყველა სამუშაო ფასდებოდეს არა ზოგადი, არამედ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკებით. (დაწყებით საფეხური)*
ინდიკატორი N 2.2.1.3	*დაწყებთი, საბაზო და საშუალო საფეხური*	***მათემატიკა:*** *(ეხება სამივე საფეხურს) მიზანშეწონილია შეფასების რუბრიკები შემუშავდეს სხვა კლასებისა და თემებისთვისაც, რათა შეფასების სისტემა სკოლაში თანმიმდევრული და სისტემური იყოს. ასევე სასურველია შეფასების კრიტერიუმები ყველა კლასის, ყველა მოსწავლეს თემის დაწყებამდე გაეცნოთ - ეს პრაქტიკა შეფასებას უფრო გამჭვირვალეს და სამართლიანს გახდის.*
ინდიკატორი N 2.2.2.1	*დაწყებითი საფეხური*	***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:*** *სასურველია, ბუნებისმეტყველების და მათემატიკის კურიკულუმის რესურსების გრაფაში მითითებული იყოს ყველა ის დამატებითი სასწავლო რესურსი და ელ.რესურსების ბმულები რასაც იყენებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.*

ინდიკატორი N 2.2.2.2	*დაწყებთი, საბაზო და საშუალო საფეხური*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** *დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემოქმედებით პროდუქტში/იდეა-მიზანი ჩაშენებული ელექტრონული რესურსები სასურველია, წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათავლისწინებით შერჩეული ან შექმნილი და კომპლექსური დავალების განხორციელებისათვის რელევანტური.*
ინდიკატორი N 2.2.2.2	*დაწყებთი, საბაზო და საშუალო საფეხური*	***მათემატიკა:*** *(ეხება სამივე საფეხურს) სკოლის სასწავლო გეგმაში მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, რომ რესურსების შერჩევა ხდება გუნდურად ან პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზებთან მიმართებაში, შედეგად გამოვლენილი ხარვეზი გადავიდა სრულ შედსაბამისობაში. კერძოდ, 1.2.1.3. ხარვეზის გამოსწორების მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა 7 წლიან გეგმასთან შესაბამისი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სამეურვეო საბჭოს ოქმი; 3.1.2.3. ხარვეზთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა იმ თანამშრომელთა ცნობები, რომლებიც ვიზიტის დროს ეკლდა პირად საქმეებს; 3.6.3.5. ხარვეზის გამოსწორების დამადასტურებელი მტკიცებულება - ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია, ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე; 2.1.2.1. და 2.1.2.2. ხარვეზების გამოსწორების მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი კურიკულუმები..

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას *გააზრებული* აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და წარმოდგენილია შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა თავისი მისიით აქცენტს აკეთებს ისეთ მიმართულებებზე როგორიცაა: ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული უსაფრთხო, ინოვაციური და ინკლუზიური სასწავლო გარემოს ფორმირება, 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების გამომუშავება და თვითრეალიზაცია, ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრირებით მოსწავლეებში შემოქმედებითი, ინტელექტუალური და ფიზიკური უნიკალური შესაძლებლობების აღმოჩენა და ასევე სასკოლო საზოგადოების აქტიური თანამშრომლობით მოსწავლეთა კონტიგენტის და დაწესებულების ცნობადობის გაზრდა.

სკოლის მომავლის ხედვაა 2023 სასწავლო წლისთვის დაწესებულება გახდეს აჭარის მაშტაბით მაღალი ნდობისა და აღიარების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის კერა, რომელიც უზრუნველყოფს, თანამედროვე მიდგომებზე დაფუძნებულ ხარისხიან განათლების დანერგვას, მაღალკონკურენტუნარიან გარემოში მოსწავლეთა თვითრეალიზაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დაუფლებას, ასევე ისეთი თანამშრომლობითი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს ფორმირება, სადაც სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, თანადგომით, თანამშრომლობით, სიყვარულით და ერთგულებით მხარს დაუჭერს მოსწავლეთა ინიციატივებსა და შესაძლებლობებს განავითარონ პიროვნული მისწრაფებები როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების გაძლიერების გზით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიისა და ხედვის თანახმად განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლა ემსახურება მოსწავლე ახალგაზრდობის

აღზრდა- განათლებას, უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს ყველა მოსწავლისა და სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის, ქმნის თანაბარ პირობებს მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარებისათვის, მათი უნარების, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის მიუხედავად. სკოლა ზრდის ეროვნული ღირებულებების მატარებელ პიროვნებას, უყალიბებს კულტურულ ფასეულობათა, ოჯახისა და საზოგადოების პატივისცემას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის ფილოსოფიის შექმნის პროცესში დაწესებულებამ აქტიურად ჩართო სასკოლო საზოგადოება, დირექტორის 2025 წლის 03 სექტემბრის N-3 ბრძანებით, სკოლაში შეიქმნა სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო დაგეგმვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის დირექტორი, მასწავლებლები, მშობელი და მოსწავლე. სკოლამ წარმოადგინა კითხვარი, რომლის საშუალებითაც მოხდა სასკოლო საზოგადოების (თანამშრომელი, მოსწავლე, მშობელი) გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგების ანალიზის გათვალისწინებით მოხდა სკოლის ფილოსოფიის - მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული ფილოსოფიის პროექტი განსახილველად წარედგინა სამეურვეო საბჭოს, ხოლო 8 სექტემბრის N 2 სხდომაზე დამტკიცდა პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას დირექტორის ბრძანებით აქვს დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, დოკუმენტის მიხედვით, სკოლის მისიის ხედვის და ღირებულებების გაზიარებისთვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებ გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი და სხვა. მოქმედი მისია ხედვა და ღირებულებები შეტანილი არის 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც ასევე გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის. ასევე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის საცნობარო დაფაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა უზრუნველყოფს მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის გაზიარებას ციფრული და მატერიალური არხებით. ფილოსოფიის დოკუმენტი გამოკრულია სკოლის საცნობარო დაფაზე, ასევე გაზიარებულია ონლაინ სივრცეში, სკოლის ვებ-გვერდზე (skolebi.emis.ge).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის დასახელება „სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლა“ შეესაბამება მის სტატუსს და ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დადგენილს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 სასწ.წ);
- დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი „სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) დამტკიცება;
- სკოლის ფილოსოფიის შემუშავების კითხვარი;
- სკოლის ვებგვერდი - https://skolebi.emis.ge/schools/525

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N-10 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტების გაზიარებით. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს.

სკოლის ფილოსოფიის (მისია,ხედვა,ღირებულებების) ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესს წინ უნდა უსწრებდეს მეთოდოლოგიის დოკუმენტის შემუშავება. მეთოდოლოგიის დოკუმენტით უნდა განისაზღვროს სკოლის ფილოსოფიის (მისია,ხედვა,ღირებულებები) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის და დამტკიცების ეტაპები. აღსანიშნავია, რომ სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების თარიღია 2025 წლის 19 სექტემბერი, აღნიშნულ თარიღამდე კი შიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც სასკოლო საზოგადოებას გააცნო სკოლის მისიის ხედვის და ღირებულებების, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის სამუშაო პროექტები. კერძოდ, სკოლამ დირექტორის ბრძანებით 2025 წლის 3 სექტემბერს შექმნა ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი. დაწესებულებამ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და თანამონაწილეობით სკოლის ფილოსოფია (მისია,ხედვა და ღირებულებები) დაამტკიცა 8

სექტემბრის N 2 პედაგოგიურ სხდომაზე, ამავე დღეს სამეურვეო საბჭოზე განიხილა და დაამტკიცა სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები.

რჩევა: სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს, რაიმე საქმიანობის განხორციელებისას, ჯერ დაამტკიცოს განხორციელების მარეგულირებელი წესი და შემდეგ განახორციელოს აქტივობა და არ მოიქცეს პირიქით, ისე, როგორც სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცებისას მოიქცა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

დაწესებულებამ წარმოადგინა 2025-2032 წლებზე გათვლილი შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს და შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორებისა და შიდა გარემოს SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლა აქცენტს აკეთებს შემდეგ სტრატეგიულ მიმართულებებზე: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; სკოლის ორგანიზაციული სისტემისა და დოკუმენტური ბაზის გაუმჯობესება; მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შევსება ,არსებულის შენარჩუნება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთ მხარდაჭერა; ადამიანური რესურსის განვითარება და არაფორმალური განათლების გაძლიერება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი (2025-2026წლის) სამოქმედო გეგმა, რომელიც ემსახურება სტრატეგიული მიზნების მიღწევას, სტრატეგიული ამოცანების შესრულების გზით. სამუშაო ჯგუფმა, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც წარუდგინა სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის N-2 სხდომაზე

დასამტკიცებლად. სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ნაწილობრივ ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლას სტრატეგიული განვითარების გეგმაში წარმოდგენილი აქვს რვა სტრტეგიული მიზანი, რომელიც შვიდ წელზე უნდა იყოს გათვლილი, ესენია: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; სკოლის ორგანიზაციული სისტემისა და დოკუმენტური ბაზის გაუმჯობესება; მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შევსება, არსებულის შენარჩუნება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთ მხარდაჭერა; ადამიანური რესურსის განვითარება და არაფორმალური განათლების გაძლიერება. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში კი დაწესებულება აქცენტს აკეთებს მხოლოდ შვიდ მიმართულებაზე, არაფორმალური განათლების მიმართულებით სკოლას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისი მიზნები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები, ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები.

ხარვეზი: შვიდწლიან სტრატეგიულ განვითარების გეგმაში სკოლას აქვს გაწერილი სტრატეგიული მიზანი „არაფორმალური განთლების გაძლიერება“, რომელიც შვიდ წელზე არის გათვლილი, მათ შორის 2025-2026 სასწავლო წელზე. მიუხედავად ამისა, დაწესებულებას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ აქვს წარმოდგენილი აღნიშნული სტრატეგიული მიზანი, შესაბამისი აქტივობებითა და და შესრულების ვადებით. ამის გამო ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ იყო.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში წარმოადგინა განახლებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N6 (20.05.2026 წლის), რომლიდანაც ჩანს ცვლილების შეტანა. წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, სკოლამ გამოასწორა ხარვეზი და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერა სტრატეგიული მიზანი არაფორმალური განათლების მიმართულებით — შესაბამისი აქტივობებით, ვადებით, შესრულების ინდიკატორებითა და რესურსებით.

ამ გარემოების გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა გადავიდა სრულ შესაბამისობაში

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ასახავს კონკრეტულ აქტივობებს, რომლებიც აუცილებელია სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. სამოქმედო გეგმის ყოველ აქტივობას თან ერთვის შესრულების ვადები, რომლებიც არის რეალისტური.

ვადები განსაზღვრავს რა პერიოდში უნდა დასრულდეს კონკრეტული აქტივობა. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია თითოეული აქტივობისთვის პასუხისმგებელი პირი თუ სტრუქტურული ერთეული, რომლებიც არიან პასუხისმგებლები ამ აქტივობის შესრულებაზე. ყველა აქტივობის შესასრულებლად მითითებულია შესაბამისი რესურსებიც (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2032 სასწ. წ).
- სამოქმედო გეგმა (2025-2026 სასწ. წ);
- სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026);
- სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები წარდგენა და დამტკიცება (N-2);
- სამეურვეოს ოქმი შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება (08.09.2025 წ.);
- სკოლის ფილოსოფიის შემუშავების კითხვარი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ, ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე, სამუშაო ჯგუფის

სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში. სკოლა გამოხატავს მზაობას აღნიშნული ინდიკატორის უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლა განახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. მონიტორინგის პროცესს წარმართავს სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი და სკოლის დირექცია, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნიკაციას სტრუქტურულ ერთეულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები, განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა განთავსდეს სკოლის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას როგორც სკოლის საზოგადოებისთვის, ისე სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. სკოლა გამოხატავს მზაობას აღნიშნული დოკუმენტების საჯაროობის უზრუნველყოფაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლის მიერ განხორციელებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედეგებიდან მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარების პროცესში. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების

შესრულების შედეგების საფუძველზე განხორციელდება სკოლაში პროცესების ანალიზი. ანალიზის შედეგებს კი სკოლა გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა;;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

“ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2005 წლის 15 სექტემბერს

დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდების მე-3 მუხლის მიხედვით სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინურ კომიტეტს. წესდებაში მოცემულია ამ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებიც. გარდა ამისა, სკოლის დირექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის N07 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რომელიც გარდა ზემოთ ხსენებული სტრუქტურული ერთეულებისა, დამატებით მოიცავს სხვა სტრუქტურულ ერთეულებს და მათ ფუნქციებსაც.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციები მიემართება და ხელს უწყობს სკოლის ძირითადი, დამხმარე და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებას. პასუხისმგებლობები კარგადაა განაწილებული და მათი ფუნქცია-მოვალეობები ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და მისი დამტკიცების ბრძანება;
- სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 21 სექტემბრის N12 ბრძანებით დამტკიცებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელიც პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს აღწერს. დოკუმენტით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები და სტრატეგია, ამოცანები, პერსონალის მართვის პოლიტიკის როლი სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, კადრების მოზიდვა და შერჩევა, თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები და აქტივობები, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, შესრულებული სამუშაოს ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება, პროფესიული განვითარება, მოტივაცია, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, დასკვნითი დებულებები. გარდა ამისა პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესები, რომელიც არ არის აღწერილი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, აღწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის „შინაგანაწესში არის მუხლი „სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი“vc, რომელიც პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის სასარგებლო რეგულაციებს შეიცავს. კერძოდ, აღწერს თანამშრომელთა ვალდებულებებს რა უნდა მოიმოქმედოს სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, რაც სკოლის პრევენციულ მექანიზმებს განეკუთვნება. გარდა ამისა საჭიროებებზე დაფუძნებულ პრევენციული და ინტერვენციული აქტივობებია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში“ აღწერილი რეგულაცია. <u>შესრულებული სამუშაოს შეფასება (მუხლი 19): სკოლა სისტემატურად აფასებს პერსონალის საქმიანობას, რათა მოახდინოს „ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირება“ (პუნქტი 1). შეფასების შედეგების ანალიზი საფუძვლად ედება პერსონალის მიზნობრივ განვითარებას</u>. და <u>პროფესიული განვითარების დაგეგმვა (მუხლი 20): პერსონალის განვითარების პროგრამები და ინიციატივები პირდაპირ კავშირშია საჭიროებებთან. კერძოდ, მე-6 პუნქტში აღნიშნულია, რომ ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს „პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად“.</u> გარდა ამისა სკოლამ საავტორიზაციო დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტი **„დროებით არმყოფი თანამშრომლების ჩანაცვლების წესი“** რომელიც წარმოადგენს ინტერვენციული მართვის მექანიზმს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას ფორსმაჟორულ ან დაგეგმილ არყოფნის შემთხვევებში (მუხლი I, II). მონიტორინგის საფუძველზე (მუხლი VI) სკოლა ახორციელებს საჭირო ცვლილებებს პერსონალის მართვის პროცესში. აღსანიშნავია, რომ სკოლას არ აქვს აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებული, რის გამოც **სკოლას ეძლევა რჩევა: თუ სკოლა აპირებს, რომ რომელიმე დოკუმენტი გამოიყენოს თავის საქმიანობაში, პირველ რიგში დაამტკიცოს სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესების შესაბამისად.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით**

სკოლას დამტკიცებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელშიც აღწერილია კონკურსის გამოცხადების პროცედურები, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია. სკოლის ყველა თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე. პირადი საქმეების უმრავლესობაში (ოთხის გარდა) წარმოდგენილია ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის კანონმდებლობით მოთხოვნილი „ნასამართლობის“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შესახებ“ და “საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ” ცნობები. **ხარვეზი: ოთხ თანამშრომელს მოსაწესრიგებელი აქვს პირადი საქმის მომცველი დოკუმენტების სკოლისთვის წარდგენა, მათგან ერთ თანამშრომელს არ აქვს წარმოდგენილი “საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ” ცნობა; ორს არ აქვს ნასამართლეობის შესახებ ცნობა; ორს - ნარკოლოგიურის ცნობა, რომელიც სკოლის მოთხოვნის მიხედვით უნდა წარმოადგინოს, რის გამოც ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული ვერ იქნება.**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში წარმოადგინა აღნიშნული თანამშრომლების მიერ აღებული ცნობები. ამ გარემოების გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებული მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, მათი კვალიფიკაციები რეგულირებადია და სახელმწიფოსგანაა დადგენილი. ასევე დაკმაყოფილებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანარჩენი თანამშრომლების შემთხვევაშიც, საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლას გაწერილი აქვს დოკუმენტში „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“.

აღსანიშნავია გარემოება, რომელიც დეტალურად აღწერილია 2.2.2.4. ინდიკატორში. რამოდენიმე მასწავლებელი სამსახურში აყვანილია კვალიფიკაციის შესაბამისად, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მისი ძირითადი საგნის დამატებით ატარებს გაკვეთილს, რომელშიც არ აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია (მაგალითად დაწყებითების მასწავლებელი ატარებს მუსიკის ან სპორტის გაკვეთილებს ე.წ. შერწყმულ სკოლაში), ამის შესახებ სკოლამაც იცის, სურს აიყვანოს შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებელი და აღნიშნული დაფიქსირებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში.

სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლამ უზრუნველყოს ფიზიკის, ხელოვნების, მუსიკის და სპორტის საგნებზე კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კადრების დასაქმება, არაუგვიანეს 18.11.2026 წლისა.
ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მართვა ეფუძნება მისი სტრუქტურული ერთეულების - კოლეგიური ორგანოების მუშაობის პრინციპებს (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა), რომელთა ფუნქციები გუნდურობას და გადაწყვეტილებების კოლეგიურ მიღებაზეა დაფუძნებული. გადაწყვეტილებების მიღების წესი სკოლის წესდებაშია გაწერილი. გუნდურობისა და მონაწილეობითი კულტურითაა შემუშავებული სკოლის ფილოსოფია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. გუნდურობის პრინციპზეა აგებული პედსაბჭოს, სამეურვეო საბჭოს და სხვა კოლეგიური ერთეულების მიერ საკუთარი ფუნქციების შესრულება.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას გააჩნია როგორც აღიარების ფორმალური სისტემა, ისე გამოცდილების გაზიარების სპეციალური სტრატეგია. ეს საკითხები ასახულია შემდეგ დოკუმენტებში:
„წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება“: ეს დოკუმენტი სრულად ეთმობა სკოლის მიღწევების წარმოჩენასა და პრაქტიკის გავრცელებას. მე-6 მუხლში განსაზღვრულია გაზიარების კონკრეტული გზები:

- პრეზენტაციები პროფესიულ გაერთიანებებში;
- მასტერკლასები და სემინარები;
- წარმატებული პრაქტიკის დოკუმენტირება და გამოქვეყნება;
- პარტნიორობა სხვა სკოლებთან და ორგანიზაციებთან.

„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ (მუხლი 21): განსაზღვრულია თანამშრომელთა მოტივირებისა და აღიარების ფორმები:

1. მადლობის გამოცხადება;
2. სიგელით დაჯილდოება;
3. ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
4. ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

ასევე, მუხლი 5-ის 1.1 პუნქტი ხაზს უსვამს „დამსახურებებზე დაფუძნებულ მიდგომას“, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება ინდივიდის კომპეტენციისა და დამსახურებების გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- „წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება“;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ პირდაპირ ითვალისწინებს შეფასების სისტემის დანერგვას. სკოლას გაწერილი აქვს პერსონალის შესრულებული სამუშაოს სისტემატური შეფასების პროცედურები, რომელთა მიზანია ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა. კერძოდ აღნიშნული დოკუმენტის მე-19 მუხლის პირველ პუნქტში ნათქვამია, რომ „დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას“. რაც შეეხება მექანიზმებს, ამავე მუხლის მე-4 პუნქტში აღწერილია, რომ შეფასების მეთოდები მოიცავს მართვას მიზნების მიხედვით, 360-გრადუსიან შეფასებას, თვითშეფასებას, გასაუბრებას და უშუალო ხელმძღვანელის მხრიდან შეფასებას (მუხლი 19, პუნქტი 4). შეფასების პროცესის ძირითადი ეტაპებია დაგეგმვა; თვითშეფასება; გასაუბრება და საბოლოო შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის დოკუმენტაციის მიხედვით პერსონალის პროფესიული განვითარება პირდაპირ კავშირშია შეფასების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებთან და ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული გეგმების საფუძველზე. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-19 და მე-20 მუხლებში აღნიშნულია, რომ შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს და შესაბამისი აქტივობები და მათი ბიუჯეტი აისახება სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობის საკითხიც ყველაზე დეტალურად გაწერილია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში“. სკოლის პოლიტიკა დეკლარირებს თანამშრომელთა შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზებას და კარიერულ წინსვლას. პოლიტიკის ერთ-ერთი ამოცანაა დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება (მუხლი 4.1.2). და ასევე, დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ „კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე“ (მუხლი 20.5). გასული წლების პრაქტიკიდან ჩანს, რომ სკოლაში არაერთმა მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი და გაიარა ტრენინგი. მათ შორის აღსანიშნავია საჯარო

სკოლების დაფინანსების ცვლილებასთან დაკავშირებით ტრენინგის გავლა სკოლის დირექტორის და ბუღალტრის მიერ; ასევე მასწავლებლბის მიერ გავლილი ტრენინგები, თითოეულ შემთხვევაში სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას, რაც გამოიხატება მათთვის მოქნილი სამუშაო გრაფიკის შეთავაზებით, ინფორმაციის დროულად მიწოდება და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის"; მიხედვით სკოლაში დანერგილია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის (სოციალიზაციის) მკაფიოდ განსაზღვრული პროცესი, რომელიც სამ ძირითად ეტაპს მოიცავს (მუხლი 18):

- **მოლოდინები:** მუშაობის დაწყებამდე სკოლის შესახებ შთაბეჭდილებისა და მოლოდინების ჩამოყალიბება.
- **შეხვედრა:** მუშაობის პირველი სამი თვე, რაც გულისხმობს ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდს.
- **„ოჯახის წევრობა":** თანამშრომლის მიერ საკუთარი თავის სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად აღქმის ეტაპი.

სკოლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დამკვიდრებული წესებისა და ტრადიციების გაცნობას, რათა ახალი კადრი სწრაფად შეეგუოს ორგანიზაციულ კულტურას. თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციისთვის სკოლა ახორციელებს სხვადასხვა საადაპტაციო პროცედურებს. გამოცდილ კოლეგებთან დაწყვილება; ანონიმური გამოკითხვა; გუნდურ აქტივობებში ჩართულობა და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა მხრიდან ინოვაციური ხედვებისა და განვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივების წამოწყებას. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის" მე-20 მუხლში ნათქვამია, რომ „პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ", ინიციატივების გამოვლენა ხდება როგორც საჭიროებათა კვლევის შედეგად, ისე პერსონალის მხრიდან ზეპირსიტყვიერი მომართვის საფუძველზე. ამავე დოკუმენტშიმოცემულია, რომ შეფასების სისტემა თავად ითვალისწინებს აქტიური მონაწილეობის წახალისების პრინციპს (მუხლი 19.2.2). გარდა ამისა სკოლას შინაგანაწესში გაწერილი აქვს წახალისების სისტემა, რაც წარმატებული საქმიანობის წახალისების კიდევ ერთი მაგალითია. ამის დასტურად სკოლამ წარმოადგინა სერტიფიკატებით დაჯილდოვების არაერთი მაგალითი, რითაც სკოლის მიერ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობებია წახალისებული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მასწავლებელთა სერთიფიკატები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ (დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 12 სექტემბრის N09 ბრძანებით). დოკუმენტში აღწერილია ქვეპროცესები, რომლისგანაც შედგება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი (მუხლი 6), რომელიც ეფუძნება პროცესულ მიდგომას და თანხვედრაშია ე.წ. დემინგის ციკლთან. სკოლაში მიმდინარე სხვა პროცესებიც ექვემდებარება ასეთივე ციკლის მოქმედებას. მაგალითად სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, განხორციელება, შემოწმება/შეფასებისა და განვითარების ეტაპები. ასეთივე ციკლია გათვალისწინებული სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში: კურიკულუმის დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება და ბოლოს გადასინჯვა და რევიზია.

ინდიკარორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

„ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ მე-4 მუხლის თანახმად, სკოლის პროცესები დაყოფილია სამ ძირითად კატეგორიად:

მმართველობითი პროცესები - სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა;

ძირითადი პროცესები - კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა.

დამხმარე პროცესები - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, მოსწავლის სერვისები, საბიბლიოთეკო სერვისები, ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოება, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, კარიერული განვითარება.

ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ თითოეული პროცესი შემუშავდება ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირის მიერ, ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელ პირთან კოორდინაციით და მტკიცდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის წესდების მე-5 მუხლის, 1-ლი, თ) ქვეპუნქტის მიხედვით სამეურვეო საბჭო განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს; წესდების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის მ) ქვეპუნქტის მიხედვით სკოლის დირექტორი გათვალისწინებული წესით განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს; წესდების მე-15 მუხლი განსაზღვრავს მასწავლებლის, მოსწავლის და

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჩივრის განხილვის ზოგად რეგულაციებს (როდის იხილავს საჩივარს დირექტორი, როდის სამეურვეო საბჭო) და ვადებს, ასევე განსაზღვრულია, თუ რა შემთხვევაში არ განიხილება საჩივარი, თუ საჩივარში არ არის მითითებული რეკვიზიტები. გარდა ამისა შინაგანაწესის 23-ე მუხლით აღწერილია განცხადების საჩივრის განხილვის წესი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“ (ბრძანება N46, 26.12.2025). დოკუმენტში აღწერილია მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და პერსონალის უფლებები ცალ-ცალკე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- სკოლის წესდება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების სხვადასხვა ხერხებს იყენებს. ერთ-ერთ საშუალებაა სკოლის საინფორმაციო დაფა, ასევე, სკოლის/კლასების სოციალურ ქსელი. გარდა ამისა, ინფორმაციის გაცემა და უკუკავშირის მიღება, კლასების მიხედვით, ხდება მშობელთა კრებებზე. სკოლის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, რადგან სოფლის სკოლაა, სასკოლო საზოგადოებასთან და მათ შორის მშობლებთან, სკოლის წარმომადგენლებს აქვს აქტიური არაფორმალური კომუნიკაცია, რაც ასევე ერთ-ერთი საშუალებაა მათგან უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირებისა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში საკმაოდაა სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც წარმომადგენლობითია და სასკოლო საზოგადოების წევრებს ეძლევათ მათში ჩართვის შესაძლებლობა. კერძოდ, სამეურვეო საბჭოში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრია (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, ასევე შესაძლებელია სამინისტროს წარმომადგენელი, თემის წარმომადგენელი); ასეთივე წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი; გარდა ამისა, სკოლის კოლეგიური ორგანოებია პედაგოგიური საბჭო, სადაც ყველა პედაგოგია ჩართული; მოსწავლეთა თვითმმართველობა, სადაც მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს ირჩევენ; საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები საგნობრივი მიმართულებით არიან გაერთიანებული. ყველა ეს ორგანო უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობით, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში და დასტურდება ამ სტრუქტურული ერთეულების შეხვედრების ოქმებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- სკოლის კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები და მათი შეხვედრების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

ა) ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში მოქმედებს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესი. ამასთან, სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მორიგეობენ მასწავლებლები. გარდა ამისა, უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის სკოლას ჰყავს დარაჯები;

ბ) უფლებამოსილ ორგანოსთან შესათანხმებლად გაგზავნილი აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (MES 3 26 0000010955, 12.01.2026) საიდანაც მიღებული აქვს 04.03.2026, MIA 0 26 00739666 შეტყობინება, რომლითაც სკოლას ეცნობა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (რომელიც სკოლის მიერ დამტკიცებულია 01.03.2026, N63 ბრძანებით) შეთანხმებულ იქნა სამსახურის

მიერ. აქვე აღსანიშნავია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ არის შეთანხმებული სოფელ ზედა კირნათში და ნაკირნათევში. სკოლამ გააგზავნა წერილები საგანგებო სიტუაციების შეთანხმების თხოვნით (20.04.2026, MES 5 26 0000456304 და MES 5 26 0000456307) და შეთანხმების შესახებ და ამის თაობაზე ჩაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრა 21.04.2026-21.11.2026 პერიოდი. აქედან გამომდინარე **ინდიკატორის ამ ნაწილის მოთხოვნა ჩაითვლება მეტწილად დაკმაყოფილებულად** და **სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ პერიოდში 21.04.2026-21.11.2026 უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან სოფელ ზედა კირნათისა და ნაკირნათევის შენობებისთვის.**

გ) სკოლას გაგზავნილი აქვს წერილები სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში სკოლის სამივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად. კირნათის შენობისთვის 31.03.2026, MES 3 26 0000383600; ზედა კირნათისთვის - 02.04.2026, MES 9 26 0000395441; ნაკირნათევისთვის - 02.04.2026, MES 8 26 0000395486). ამასთან აღსანიშნავია, რომ სკოლას ეცნობა ინდიკატორის ამ ნაწილის დაკმაყოფილების შესახებ, მან მაინც ჩაწერა, მიუხედავად იმისა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრა 21.04.2026-21.11.2026 პერიოდი. აქედან გამომდინარე **ინდიკატორის ეს ნაწილი დაკმაყოფილებულია.**

დ) სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. მას, ამის შესახებ, მიმართული აქვს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსადმი. კირნათის შენობისთვის 04.03.2026, MES 5 26 0000257936; ზედა კირნათისთვის 20.04.2026, MES 4 26 0000456321 და ნაკირნათევისთვის 20.04.2026, MES 9 26 0000456326) სკოლამ აღნიშნულის შესახებ ჩაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრა 21.04.2026-21.11.2026 პერიოდი. აქედან გამომდინარე **ინდიკატორის ამ ნაწილის მოთხოვნა ჩაითვლება მეტწილად დაკმაყოფილებულად** და სკოლას **მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ პერიოდში 21.04.2026-21.11.2026 უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება სამივე შენობისთვის.**

არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში გადმოგზავნი დოკუმენტაციას სკოლამ დაურთო სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტიზის ორი დასკვნა N 002711326 (04.05.2026 წ) სოფელ კირნათში არსებული შენობისთვის და N 003374326 (18.05.2026 წ) სოფელ ნაკირნათევის შენობისთვის. ორივე დასკვნაში მითითებულია, რომ შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და რაიმე სახის დეფორმაციები არ შეინიშნება. ამ გარემოების გათვალისწინებით სკოლას მხოლოდ ზედა კირნათში მდებარე შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა დარჩა წარმოსადგენი, რის გამოც ინდიკატორის ამ ნაწილის მოთხოვნა კვლავ დარჩა მეტწილად დაკმაყოფილებული. ამის გამო სკოლას მიეცა რეკომენდაცია,

რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ პერიოდში 21.04.2026-21.11.2026 უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება ზედა კირნათის შენობისთვის.
ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. დამტკიცებული აქვს „სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირებისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი“ (ბრძანება N18, 12.09.2025). სკოლას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექიმი. სოფელ კირნათის შენობის პირველ სართულზე, სამასწავლებლოში, მეტალო-პლასტმასისა და მინა-პაკეტის საშუალებით გამოყოფილია სივრცე ექიმის კაბინეტისთვის. კაბინეტი აღჭურვილია სათანადოდ ექიმი აწარმოებს სამედიცინო შემთხვევების, გახარჯული და ვადაგასული მედიკამენტების აღრიცხვას. აქვე აღსანიშნავია, რომ სკოლა ფუნქციონირებს სამ შენობაში. ძირითადია სოფელ კირნათში, სადაც სამედიცინო კაბინეტია მოწყობილი და დაწყებითი (I-IV კლასკომპლექტებით) სკოლებია მოწყობილი სოფელ ზედა კირნათში და სოფელ ნაკირნათევში. თითოეულში 8-8 მოსწავლე სწავლობს. საგულისხმოა, რომ ვიზიტის მიმდინარეობის დროს 2026 წლის 20 აპრილს ცვლილება შევიდა **(ცვლილების ბრძანება №58/ნ/№14/ნ)** „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ №41/ნ/01-23/ნ ბრძანებაში“, რომელშიც განისაზღვრა (მუხლი 6, პუნქტი4), რომ „თუ სკოლა მოიცავს ორ ან მეტ შენობას, რომლებშიც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და განთავსებულია სხვადასხვა მისამართზე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა შენობების განლაგება იძლევა პირველადი გადაუდებელი დახმარების დაუყოვნებლად გაწევის შესაძლებლობას) სავალდებულოა თითოეულ შენობაში დამატებით სკოლის ექიმის/სკოლის ექთნის უზრუნველყოფა. ვინაიდან სკოლა მეყსეულად ვერ განახორციელებდა ამ ცვლილების შესაბამისად სკოლის ორივე შენობაში ექიმის ან თუნდაც ექთანის აყვანას. **სკოლას ეძლევა რჩევა: გონივრულ ვადაში უზრუნველყოს სკოლის ყველა შენობისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა.**
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა ახორციელებს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესს. სკოლას ჰყავს მანდატური. შექმნილი ჰყავს მრჩეველთა საბჭო, განსაზღვრული ჰყავს სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი

(ბრძანება N13, 22.09.2025). **სკოლას ეძლევა რჩევა განსაზღვროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი მეორე პირიც, რათა უზრუნველყოფილი იყოს ამ პირების მიერ დაკისრებული მოვალეობების განხორციელება სქესის მიხედვით.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

"ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების ერთ-ერთი მიზანი სწორედ "ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაა". რადგან სკოლა ახორციელებს ამ ბრძანების მოთხოვნებს, შესაბამისად უზრუნველყოს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. ბრძანების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოკრულია მანდატურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის, სახალხო დამცველის, განათლების სამინისტროს, მანდატურის ნომერები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას დამტკიცებული აქვს „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები", რომლის მიხედვითაც ყოველდღიურად ლაგდება სველი წესით ფოიე, დერეფნები საკლასო ოთახები და სხვა სასწავლო ფართები. დოკუმენტში აღწერილია ასევე სველი წერილების დასუფთავების წესი და პერიოდულობა, გამოყენებული სარეცხი საშუალებები და მათი შენახვის წესი, ასევე არაყოველდღიური არამედ ყოველთვიური გენერალური დასუფთავებისა და დეზინფექციის წესი, ნაგვის გადაყრის წესი და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას დამტკიცებული აქვს ,,პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი" (22.09.2025, N22). სკოლას მოპოვებული აქვს მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების თანხმობები პერსონალურ მონაცემების დამუშავებაზე. სკოლის მიმართვის საფუძველზე ადგილობრივ რესურსცენტრმა სკოლას გამოუყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების

საკითხი. სკოლას ეძლევა რჩევა: ინფორმაცია სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობასა და საკონტაქტოს შესახებ ასახოს სკოლის ვებ გვერდზე

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა იცავს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას. ინფორმაცია, რომელიც მატერიალური სახით არსებობს დაცულია სკოლის კანცელარიაში, გარდა ამისა სკოლაში არსებული ინფორმაცია არის ელექტრონულ მატარებლებზე - მონაცემთა ელექტრონული ბაზის სახით, რომელიც ასევე დაცულია გარეშე პირთა წვდომისგან. სკოლას დამტკიცებული აქვს „ინფორმაციის დაცვისა და კონფიდენციალურობის მექანიზმი“, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ინფორმაციის დაცვა მატერიალურ მატარებელზე, ელექტრონული ინფორმაციის დაცვა და ასევეპერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის უსაფრთხოების პროცესებში ძალიან აქტიურად არის ჩართული მრჩეველთა საბჭო, რომლის სხდომებზე განიხილება უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვისთვის საჭირო საკითხები. ამ მიმართულებით, საბჭო პერიოდულად ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. ასევე აქტიურად ადევნებს თვალს ამ რეკომენდაციების შესრულების პროცესს და მონიტორინგს უწევს მას.

ვიზიტის დროს სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა პერიოდულად იკვლევს ამ მიმართულებით სკოლაში არსებული საჭიროებების შესახებ ინფორმაციას, მაგალითად იღებს რეკომენდაციებს იმ მორიგე მასწავლებლებისგან, რომლებიც პერიოდულად აკვირდებიან სკოლაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის პროცესებს, დარაჯებისგან და ასევე, სხვა ჩართული მხარეებისგან. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. კარგი იქნება თუ სკოლას ეყოლება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც შეაფასებს სკოლაში მიმდინარე პროცესებს და შეიმუშავებს რისკების გეგმას. **სკოლას ეძლევა რჩევა: იზრუნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღებაზე.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა სოფელ კირნათში მდებარე შენობაზე;
- სკოლის მიმართვა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს „სახანძრო უსაფრთხოებისმ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ - სამივე შენობაზე;
- სკოლის მიმართვა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ სოფელ ზედა კირნათსი და ნაკირნათევში;
- მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მშობლების პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თანხმობები;
- „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი";
- სანიტერულ-ჰიგიენური დაცვის მექანიზმები;
- ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
- ექიმის პირადი საქმე;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და მათი საქმიანობის ამსახველი ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლა ფუნქციონირებს სამ შენობაში, რომელთა მესაკუთრეა სახელმწიფო და სკოლას გადაცემული აქვს არსებობის ვადით. ინფორმაცია შენობების საერთო ფართისა და იქ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში

შენობა	**საკადასტრო კოდი**	**სართულიანობა**	**საერთო ფართი მ²**	**მიწის ნაკვეთის ფართი მ²**	**განხორციელებული პროგრამა**	**მოსწავლეთა რაოდენობა**	**შენიშვნა**
კირნათი	22.32.01.119	2	1084.29	5854.0	დაწყებითი, საბაზო, საშუალო	106	სწავლობენ 1-12 კლასები
ზედა კირნათი	22.32.01.222	1	99.6	248.0	დაწყებითი	8	სწავლობენ 1-4 კლასები
ნაკირნათევი	22.32.01.221	1	40.80	548.0	დაწყებითი	8	სწავლობენ 1-4 კლასები

აღსანიშნავია, რომ სკოლის ბალანსზე ირიცხება მეოთხე შენობაც, რომელიც მდებარეობს კირნათის თემში შემავალ სოფელ კობალეთში (საკადასტრო კოდი 22.32.01.227.). სკოლის დირექტორის განცხადებით აღნიშნულ შენობაში წლებია აღარ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. სკოლამ მიმართა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (20.04.2026, MES 1 26 0000454997), რომ ავტორიზაციის პროცესი არ გავრცელდეს აღნიშნულ შენობაზე, მისი ამორტიზებული მდგომარეობისა და უფუნქციობის გამო.

სოფელ კირნათში მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებულია: 6 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, ბუღალტერია, რესურსოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სველი წერტილები და დიდი ოთახი - სამასწავლებლო, რომელშიც გამოყოფილია სამედიცინო პუნქტის სივრცე. აქვე განთავსებულია დირექტორის სამუშაო მაგიდა (დირექტირს არ აქვს ცალკე კაბინეტი). მეორე სართულზე არის 6 საკლასო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია და სპორტული დარბაზი.

სოფელ ზედა კირნათში მდებარე შენობა არის ერთ სართულიანი, რომელშიც განთავსებულია სამი საკლასო ოთახი, სამასწავლებლო და სველი წერტილი. სკოლაში ირიცხება 8 მოსწავლე - ორ კლასკომპლექტში (1-3 და 2-4 კლასები).
სოფელ ნაკირნათევში მდებარე შენობა არის ერთ სართულიანი, რომელშიც განთავსებულია ორი საკლასო ოთახი, სამასწავლებლო და სველი წერტილი. სკოლაში ირიცხება 8 მოსწავლე - ერთ კლასკომპლექტში და ერთ კლასში (1-3 და 2 კლასები).
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული კაბინეტი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, რესურს ოთახი, სპორტული დარბაზი და სხვა), მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის პრონციპების გათვალისწინებით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას დამტკიცებული აქვს დებულება „სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ“ რომელშიც ასევე დაცულია რესურსებით სარგებლობის ხელმისაწვდომობის ძირითადი პრინციპი - თანაბარი ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის. სკოლას განსაზღვრული ჰყავს სასკოლო რესურსებზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობის კონტროლს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის ბიბლიოთეკა მდებარეობს სოფელ კირნათში მდებარე შენობაში, ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი და პრინტერ-სკანერი. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება, რომელშიც აღწერილია ბიბლიოთეკის საქმიანობის მიზნები და ამოცანები, ძირითადი პრინციპები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სხვა. სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შედგება საკუთრივ სკოლის წიგნადი ფონდისგან, სასოფლო ბიბლიოთეკიდან გადაცემული ფონდისა და პროექტ „გზა შემეცნებისკენ“ მოპოვებული გრანტებით შემენილი ფონდებისგან. ყველა მათგანი აღრიცხულია ელექტრონულად - ექსელის ფაილში, რომელშიც შესულია 17137 ერთეული მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა. მათგან საკუთრივ სკოლის წიგნადი ფონდი და გრანტით მიღებული წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნშიც. ასევე, მატერიალურადაა აღრიცხული სახელმძღვანელოები. საბიბლიოთეკო წესით დამუშავებულია საკუთრივ სკოლის წიგნადი ფონდი და გრანტით მიღებული

ფონდი. ბიბლიოთეკაში წიგნები თაროებზე განთავსებულია ფონდების მიხედვით, რაც აძნელებს საჭირო წიგნის მოძებნას. ექსპერტთა რჩევით სკოლამ ვიზიტის პერიოდში დაიწყო წიგნების დალაგება ანბანური წესის შესაბამისად და განაცხადეს, რომ ამის შემდეგ დაიწყებენ მათ დამუშავებას საბიბლიოთეკო წესით (ბეჭდები წიგნების განსაზღვრულ გვერდებზე და საინვენტარო ნომრების მინიჭება). **სკოლას ეძლევა რჩევა: დაამუშავოს ბიბლიოთეკის ყველა წიგნი საბიბლიოთეკი წესის შესაბამისად და დაასრულოს ანბანური წესით თაროებზე მათი განალაგება.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სოფელ კირნათში მდებარე შენობის შესასვლელში მოწყობილი აქვს პანდუსი პირველ სართულზე შესასვლელად, მეორე სართულზე ასასვლელად პანდუსი ან/და ლიფტი არ არის. პირველ სართულზე მოწყობილია 2 ადაპტირებული სველი წერტილი გოგონებისთვის და ბიჭებისთვის ცალ-ცალკე თუმცა შესასვლელები საჭიროებს გაფართოებას. სკოლას აქვს რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია ავეჯითა და ინვენტარით ზედა კირნათის და ნაკირნათევის შენობები ერთსართულიანია და მიწიდან 3-4 საფეხურითაა ამაღლებული, სადაც პანდუსი არ არის მოწყობილი. სველი წერტილები ნაწილობრივაა ადაპტირებული (დამონტაჟებულია ხელის მოსაკიდი, მაგრამ არ არის უნიტაზი). სკოლას გაცნობიერებული აქვს ინფრასტრუქტურის მდგომარეობის არასაკმარისი შესაბამისობა ინკლუზიური გარემოს მოთხოვნებთან და გაგზავნილი აქვს წერილი ადგილობრივ რესურსცენტრთან (31.12.2025, MES 9 25 0001863720), რომელშიც რესურსცენტრს აცნობებს, რომ სკოლა ჩართულია ავტორიზაციის პროცესში და არ აქვს ადაპტირებული სკოლის შენობის ინფრასტრუქტურა (თუმცა შენობა არ არის დაკონკრეტებული) და სთხოვს „რეკომენდაციას აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროსთან, რათა მოხდეს სკოლის ინფრასტრუქტურის (შენობა კვლავ არ არის დაკონკრეტებული) მოწყობა რომელიც დააკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს.“ ამის შესახებ სკოლას ჩაწერილი აქვს ვიზიტის დროს გადმოგზავნილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაშიც და აღნიშნული შეუსაბამობის მოგვარების პერიოდად განსაზღვრული აქვს 31.12.2025-30.11.2026 პერიოდი. **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში აღნიშნული პერიოდის (31.12.2025-30.11.2026) განმავლობაში უზრუნველყოს სკოლის სამივე შენობის სრულად ადაპტირება.**

ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, მაინც სკოლის ინფრასტრუქტურა ხშირად გამოიყენება კულტურულ ღონისძიებათა განხორციელების ადგილად. სკოლაში შეხვედრა მოეწყო მაჭახელას ეროვნული პარკის წარმომადგენლებთან

თემაზე „ენდემური ჯიშების გაცნობა“, შედგა შეხვედრა სამხედრო წარმომადგენლებთან, გარდა ამისა ეწყობა სპორტული შეჯიბრებები, რომელსაც ესწრებიან ადგილობრივი თემის და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი 22.32.01.119; 22.32.01.221; 22.32.01.222);
- წერილი სკოლის მიმართვა ადგილობრივ რესურსცენტრს შუამდგომლობით ინფრასტრუქტურული ხარვეზების მოსაგვარებლად;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- საინვენტარო წიგნი;
- დებულება „სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ“

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში არის 15 კომპიუტერი, პრინტერ-სკანერები, პროექტორი. კომპიუტერებიდან კომპიუტერულ კლასებში განთავსებულია 7 კომპიუტერი, სამასწავლებლოში -2; ბუღალტერს -1; ბიბლიოთეკაში 1; საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში -1; რესურსოთახში - 1დირექტორს -1. დანარჩენი კომპიუტერულ კლასშია დასაწყობებული. ხელმისაწვდომია ინტერნეტი, მათ შორის უკაბელო ინტერნეტი. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ნაწილია ვებ-გვერდი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან ერთად ხელს უწყობს ადმინისტარაციული და სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს დებულება „სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ“ (ბრ.N31, 22.10.2025). ამ დებულებაში ცალკე გამოყოფილია კომპიუტერულ ოთახში არსებული რესურსების სარგებლობის წესი. სკოლას განსაზღვრული ჰყავს კომპიუტერულ ლაბორატორიაში პასუხისმგებელ პირად სკოლის საინფორმაციო მენეჯერი (ბრ.N 31, 22.10.2025). სარგებლობის ძირითადი პრინციპებიდან აღსანიშნავია მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. დოკუმენტში განმარტებულია რა უფლება აქვს მოსწავლეს მასწავლებელს და სკოლის სხვა თანამშრომელს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობისას და რა ეკრძალებათ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დებულება „სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ“;
- კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტი;
- სკოლის ვებ-გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/535

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს „ერთიანი საქმისწარმოების დებულება“ (N26, 15.11.2025). დოკუმენტი ძირითადად კანონის შესაბამისია, დოკუმენტით განსაზღვრულია სამი ტიპის დოკუმენტი: ა) შემოსული; ბ) გასული; გ) შიდა დოკუმენტაცია. აღწერილია თითოეული ტიპის დოკუმენტის სავალდებულო რეკვიზიტებს, რეგისტრაციას, ვადებს და სხვა თავისებურებებს. აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება, რაც ცნობილი გახდა ექსპერტთა ჯგუფისთვის ვიზიტის მიმდინარეობისას. საქმე ეხება სკოლის მიერ გამოცემულ ბრძანებათა შიდა, სკოლის მიერ მინიჭებულ ნომრებს, რომლებიც სექტემბრის თვეში არ არის თანმიმდევრული. მაგალითად ბრძანება N14 გამოცემულია 22 სექტემბერს, ხოლო ბრძანება N18 12 სექტემბერს. სკოლის დირექტორის განმარტებიტ სექტემბრის დასაწყისსი სკოლის ინტერნეტ კავშირზე (და ზოგადად მობილურ კავშირზეც) იმოქმედა თურქეთის რესპუბლიკის მობილურის ერთ-ერთმა ქსელმა, რომლის გადამცემი ანტენა განთავსებულია სკოლიდან (სოფელ კირნათიდან, რომელიც საზღვრისპირა სოფელია) 1-2 კილომეტრის მანძილზე. ამ ფაქტის გამო, როგორც ობიექტურ მიზეზზე, ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება არ გაამახვილა სკოლის ბრძანებების ნუმერაციის ასეთ აღრევაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა ჩართულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow)-ში. სკოლის ყველა თანამშრომელს გააჩნია საკუთარი პროფილი ამ სისტემაში. სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო **echool.emis.ge** სისტემაში. ამ სისტემაში სკოლის პროფილის დასახელებაა “სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლა”. პროფილში სრულყოფილადაა შეყვანილი მოთხოვნილი ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი,

მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა აწვდის ინფორმაციასა და უკუკავშირს თავისი საქმიანობის შესახებ იმ უწყებებს, რომლებიც ერთჯერადად ან სისტემატიურად უფლებამოსილი არიან მიიღონ ასეთი სახის უკუკავშირები. მაგალითად, სისტემატიურად, ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის, სკოლა აწვდის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს და ასევე ანგარიშს აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში. სკოლას განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფომრაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი - სკოლის საქმისმწარმოებელი. ყოველწლიურად სკოლის ბუღალტერი სკოლის ბალანსს წარუდგენს საგანმანათლებლო რესურსცენტრს. ასევე ყოველწლიურად სკოლის დირექტორის ვალდებულია 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს ანგარიში წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
- სკოლის „ერთიანი საქმისწარმოების დებულება“;;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში;
- სკოლის დირექტორის წარდგენილი ანგარიში სამეურვეო საბჭოს წინაშე;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ დირექტორის ბრძანებით;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ანგარიშით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც სკოლის შესახებ ზოგადი სახის ინფორმაციაა ასახული. ვებ-გვერდზე ასევე არის სკოლასთან საკომუნიკაციო საშუალებების შესახებ ინფორმაცია (მითითებულია სკოლის მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი). მშობლებთან და მოსწავლეებთან კომუნიკაციის საშუალებად ამასთან ერთად, გამოიყენება სკოლის სოციალური ქსელის ჯგუფები, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი. გარდა ამისა, დამრიგებლებს მშობლებთან აქვთ სატელეფონო ან/და სოციალური ქსელებით კომუნიკაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე სკოლის მიერ გამოქვეყნებული აქტივობის ამსახველი მასალა, არის სანდო და უტყუარი. რაც დასტურდება გამოქვეყნებული მასალისა და განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალის და ინტერვიუს დროს მოპოვებული ინფორმაციის თანხვედრით

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლის მართვისა და დაგეგმვის პროცესი პირდაპირ არის დაკავშირებული გარე და შიდა დაინტერესებულ მხარეებთან და მათგან მიღებულ უკუკავშირებზე. როგორც მეისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესი, ასევე სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი იწყება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვით. ასევე, „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტის მე-9 მუხლის მიხედვით, ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი შეფასებისას გასცემს რეკომენდაციებს, რომლებიც ხშირად ეფუძნება პროცესში მონაწილე პირთა ინტერვიუირებასა და უკუკავშირს. გარდა ამისა, „პერსონალის მართვის დოკუმენტის“ მიხედვით (მუხლი 20) სკოლა ახორციელებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას (რაც ხარისხის გაუმჯობესების პირდაპირი მცდელობაა), რომელიც შესაძლოა გამოიკვეთოს კვლევებისა და პერსონალის ზეპირსიტყვიერი გამოკითხვის

საფუძველზე. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ სკოლა იყენებს საზოგადოების კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაცია დევს ქართულ ენაზე - იმ ენაზე, რა ენაზეც სკოლა ახორციელებს სწავლებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის აქვს ვებ-გვერდი და ვებ-გვერდზე განთავსებულია მისია, ხედვა, ღირებულებები, საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე არის ინდიკატორით მოთხოვნილი ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ასევე არის მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები, თუმცა, იმის გამო, რომ სკოლას ვიზიტის მიმდინარე წელს აქვს დაწყებული სტრატეგიული 7 წლიანი პერიოდი, ბუნებრივია, ჯერ არ აქვს გაკეთებული ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები/ანგარიშები. **ამის საპირისპიროდ, ვებ გვერდზე ვიზიტის პერიოდისთვის ჯერ არ არის განთავსებული ინდიკატორით მოთხოვნილი შემდეგი ინფორმაცია: სკოლის სტრუქტურა, სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები.**

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში წარმოადგინა წერილი MES 9 26 0000608327 (22.05.2026 წელი), რომელშიც იტყობინებოდა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა მიერ დასკვნის პროექტში აღწერილ გარემოებებს და წარმოადგენს ხარვეზების გამოსწორების შესახებ მტკიცებულებებს. ექსპერტთა ჯგუფმა ხელახლა შეამოწმა სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რომელიც უკვე შეიცავს ინდიკატორით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ამ გარემოების გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური ქსელი გვერდი;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის, კომუნიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- პერსონალის მართვის დოკუმენტი;
- სკოლის ვებ-გვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/535

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლამ წამოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე. სკოლას გასული წლის ნოემბერში დამტკიცებული აქვს მომავალი 2026 წლის შესყიდვების გეგმაც. მიმდინარე წლის დასაწყისისთვის სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული შესყიდვების განხორციელება შესაძლებელია სკოლის ბიუჯეტით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ, საჭიროების შემთხვევაში ხდება მასში ცვლილებების შეტანა. სკოლა ყოველი ფინანსური წლის დაწყებამდე ამტკიცებს შესყიდვების გეგმას, რომლის დამტკიცებისას გათვალისწინებულია წინა წლის გამოცდილება (მონიტორინგისა და შეფასების გზით), ფინანსების განკარგვა ხდება დამტკიცებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება ცვლილების შეტანა შესყიდვების გეგმაში. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის წარსდეგება სამეურვეო საბჭოს წინაშე ანგარიშით, მათ შორის ფინანსური ანგარიშითაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დამტკიცებული შესყიდვების გეგმა;
- დირექტორის ყოველწლიური ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „მოსწავლის, პერსონალის, კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტი“, ხაზს უსვამს, რომ სკოლა ვალდებულია ყოველდღიურად იზრუნოს თითოეული ბავშვის უფლებების დაცვაზე, ხოლო ბავშვები კი უფლებამოსილნი არიან თავისუფლად გამოხატონ თავისი მოსაზრებები, დააყენონ ინიციატივები, შეიკრიბონ სკოლის ტერიტორიაზე, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად და ა.შ. სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი“. მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დამუშავების ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სკოლის ფუნქციონირებასა და მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას. თვითმმართველობას დისციპლინური კომიტეტში, მრჩეველთა საბჭოსა და სამეურვეო საბჭოში წარდგენილი ჰყავს თავისი წევრები.

გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელთა გამოყენებითაც ხდება მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების კანონით გათვალისწინებული უფლებების უზრუნველყოფა. მაგალითად სკოლის შინაგანაწესი: სკოლის ძირითადი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლის მიზანია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა, სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვის უზრუნველყოფა, დისკრიმინაციისაგან დაცვა, მოსწავლეთა ქცევის მოწესრიგება, წახალისებისა და დისციპლინური წარმოების ფორმების განსაზღვრა და სხვ. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც მოსწავლეების საჭიროებებზე არის ორიენტირებული და მიზნად ისახავს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, რაც განათლების თანაბრად ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვის გარანტია. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს დაწესებულება ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის № 06/ნ დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციები გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც გამოკრულია სკოლის საინფორმაციო კუთხეში და უზრუნველყოფილია მათი საჯაროობა და ხელმისაწვდომობა. მოსწავლის უფლებების მარეგულირებელი დოკუმენტები (შინაგანაწესი,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წესები და პირობები და სხვ.) გამოქვეყნებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და დაინტერესებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი. ასევე სკოლასა და მოსწავლის მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლის განუყოფელი ნაწილია შინაგანაწესი და ხელმოწერით დასტურდება მისი გაცნობის ფაქტი. სკოლის მიერ წარმოდგენილი, დამრიგებლის დებულების და სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით, დამრიგებელი ვალდებული არის სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს გააცნოს სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის მიზანია ორ მხარეს შორის წარმოშობილი ურთიერთობების დარეგულირება; ხელშეკრულებაში გაწერილია ნომერი, თარიღი, ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლება-მოვალეობანი, მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სხვა პირობები. შინაგანაწესი განსაზღვრულია, როგორც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *შინაგანაწესი;*
- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *დამრიგებლის დებულება;*
- *მშობელთა კრების ოქმი;*
- *ხელშეკრულება მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან;*
- *უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პირობები;*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის დროს სკოლა ხელმძღვანელობს შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმების დაცვით, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების (ბრძანება №04/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი“ (2.09.2025, N3), რომელიც შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და განსაზღვრავს მოსწავლის რეგისტრაციის, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, კლასიდან კლასში გადაყვანის, მობილობის საკითხებს და სახვა საკითხებს; კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობები განსაზღვრული არის სასკოლო სასწავლო გეგმით. წესები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცესის ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოსწავლის ჩარიცხვა მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ხორციელდება, დაცულია პროცედურები და ვადები; კანონთან შესაბამისობაშია სკოლაში ჩარიცხვის მსურველი პირის წარსადგენი დოკუმენტაცია. მოსწავლეთა მიღების, ჩარიცხვის დროს სკოლა ითვალისწინებს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებში განსაზღვრულია სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეები, პირობები, საგანმანათლებლო პროგრამები, სკოლის საერთო კულტურა, მიზნები და ამოცანები, სწავლების ორგანიზების ფორმები და სხვა საკითხები. სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შიდა პოლიტიკის განმსაზღვრელი სხვადასხვა დოკუმენტი საჯაროდ არის გამოკრული სკოლის საინფორმაციო კუთხეში და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის განახლებას. სკოლას აქვს მოქმედი გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook), სადაც ასევე ქვეყნდება განახლებადი ინფორმაცია, სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების, სერვისების, პროგრამების, რესურსების შესახებ გამჭვირვალეა; სკოლის დირექცია, პედაგოგები, მუდმივად ახდენენ საზოგადოების ინფორმირებას სკოლაში მიმდინარე პროცესების, ფორმალური და არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ. სკოლის

საინფორმაციო სივრცეებში მატერიალურად ხდება ინფორმაციის განთავსება და მისი პერიოდული განახლება, დამრიგებლები გეგმავენ და ატარებენ მშობელთა კრებებს; სკოლას და მშობლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს სასწავლო წლის დასაწყისსივე სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის და სხვა ძირითადი საკითხების გაცნობას. სასკოლო თემის ინფორმირების მიზნით გამოიყენება სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (Facebook). დაწესებულება ზრუნავს, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყოს ობიექტური და სწორი, თანაბრად ხელმისაწვდომი, არ იყოს დისკრიმინაციული, არ შელახოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხელშეკრულება მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის,სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- დამრიგებლის დებულება;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხური დაძლევის, მობილობის ბრძანებები;
- დაწესებულების გვერდი სოციალურ ქსელში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (**N35**, 03.09.2025) და ტრანზიციის დებულება (**N44,** 31.10.2025); დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ ისინი ავსებენ ერთმანეთს და ქმნიან ერთიან სისტემას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ინტეგრაციისთვის.

- ტრანზიცია, როგორც მაკრო-პროცესი, მოიცავს მოსწავლის გადაადგილებას (მაგ. ბაღიდან სკოლაში, დაწყებითიდან საბაზო საფეხურზე).
- ადაპტაცია, როგორც მიკრო-პროცესი, არის ტრანზიციის წარმატებით განხორციელების ინსტრუმენტი და მიზანი.

„ტრანზიციის დებულების“ შესავალ ნაწილში (პუნქტი 1) პირდაპირ არის მითითებული: „სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ბრძანება N44 ეყრდნობა და ითვალისწინებს ბრძანება N35-ით დადგენილ ნორმებს.

ორივ დოკუმენტი აღწერს იდენტურ ფუნქციებს:

ა) კლასის დამრიგებლის როლი

ორივე დოკუმენტი იდენტურად განსაზღვრავს დამრიგებლის ვალდებულებებს ახალი მოსწავლის მიღებისას:

- ბრძანება N35 (მუხლი 6.1, 6.2): დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს და სკოლის შინაგანაწესს.
- ბრძანება N44 (პუნქტი 6, 10): დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს, უფლება-მოვალეობებსა და შინაგანაწესს.

ბ) მოსწავლის წარდგენა და სოციალიზაცია

- ბრძანება N35 (მუხლი 6.3): დამრიგებელი მოსწავლეს აძლევს საშუალებას, პირველივე გაკვეთილზე წარადგინოს საკუთარი თავი.
- ბრძანება N44 (პუნქტი 7): ანალოგიური ჩანაწერი — მოსწავლეს ეძლევა საკუთარი თავის წარდგენის საშუალება პირველივე გაკვეთილზე ან დასვენებაზე.

გ) კომუნიკაცია მშობლებთან

- ბრძანება N35 (მუხლი 6.5): დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია მშობელთან მოსწავლის განწყობის შესასწავლად.
- ბრძანება N44 (პუნქტი 9): დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობლებთან.

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტები ერთმანეთს ავსებს, თითოეული მათგანი ფოკუსირებულია კონკრეტულ დეტალებზე, რომლებიც მეორეში არ არის გაწერილი:

- ბრძანება N35 (მოსწავლეთა ადაპტაციის წესი) უფრო სიღრმისეულად აღწერს:

ა) დეადაპტაციის ნიშნებს (მუხლი 10), როგორიცაა სწრაფი დაღლა, შიშები, აკადემიური მოსწრების დაქვეითება.

ბ) სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას (მუხლი 5), მათ შორის ინდივიდუალური ასისტენტის ჩართულობას და ფიზიკური გარემოს მორგებას.

გ) წარმატებული ადაპტაციის კრიტერიუმებს (მუხლი 8).

- ბრძანება N44 (ტრანზიციის დებულება) დამატებით არეგულირებს:

ა) ტრანზიციის ტიპებს (მუხლი 3): შიდა (საფეხურებს შორის), გარე (სხვა სკოლაში გადასვლა) და საგანგებო (რელოკაცია, ჯანმრთელობა).

ბ) პროცესის მართვის ეტაპებს (მუხლი 4): დაგეგმვა (განრიგი, მშობელთა ინფორმირება), განხორციელება და შემდგომი მონიტორინგი.

გ) სპეციფიკურ როლებს (მუხლი 5): სკოლის ფსიქოლოგის და მანდატურის ფუნქციები ტრანზიციის პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ არსებული წესის შესაბამისად მოხდინოს მოსწავლეთა ადაპტაცია. სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის და „მოსწავლეთა ადაპტაციის წესის“ და ტრანზიციის წესის მიხედვით, ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამრიგებლის როლი. დამრიგებელმა უნდა გააცნოს ახალი მოსწავლე კლასს, წაახალისოს მოსწავლეები რომ დაამყარონ კომუნიკაცია კლასის ახალ წევრთან და ა.შ. ასევე, დამრიგებლის დებულებაში, ერთ-ერთ ვალდებულებად გაწერილია მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში დახმარება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა ეხმარება მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების პროცესში და უწევს შესაბამისი მხარდაჭერას. სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის დებულება (N29, 20.09.2025) რომლის მიხედვით რემედიაციის პროგრამა ორიენტირებულია მასში ჩართული თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე. პროგრამაში შეიძლება ჩაერთოს სამივე საფეხურის მოსწავლე ნებისმიერ საგანში. დებულებაში განსაზღვრულია რემედიაციის პროგრამის ეტაპები; ჩასართავ მოსწავლეთა იდენტიფიცირება; პროცესთან დაკავშირებული მხარეების, მათ შორის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების კომუნიკაცია და თანამშრომლობა; რემედიაციის პროგრამის განხორციელების სამუშაო ფორმატის შემუშავება, სარემედიაციო სივრცის მოწყობა და სხვა ასეთი კონკრეტული საკითხები. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაზე და შესაძლებლობათა სრულფასოვან რეალიზაციაზე; აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სკოლა რამდენიმე მიმართულებით უწევს მოსწავლეებს დახმარებას: ზრუნავს სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე, მოსწავლეებისათვის ეფექტური უკუკავშირის მიცემაზე, მათ შორის იგულისხმება განმავითარებელი კომენტარიც; საჭიროების შემთხვევაში სკოლა მზად არის საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს ჩაუტაროს კონსულტაცია და დაეხმაროს მათ აკადემიური და სასკოლო გარემოში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში. ამასთანავე, სკოლა რეგულარულად აწვდის მშობლებს ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა განათლების შეუზღუდავად მიღებისათვის მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მაგალითად, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შინ სწავლების პროცედურები და სკოლის მხრიდან გასატარებელი ღონისძიებები იმ ტიპის მოსწავლეებისთვის, რომლებიც ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაციის გამო ვერ ახერხებს სკოლაში გამოცხადებას; მოსწავლეთა უფლებების რეალიზაცია უკავშირდება ასაკობრივი ექსტერნის გამოცდები, რომლის ჩატარების პრაქტიკა არის სკოლაში. ასევე, აღსანიშნავია ადმინისტრაციული მხარდაჭერა მოსწავლეთა ისეთი უფლებების გასახორციელებლად, როგორიცაა კლუბების შექმნა - სკოლაში შექმნილია რამოდენიმე კლუბი. სკოლის განცხადებით, ადმინისტრაცია და არსებული ადამიანური რესურსი მუდმივად ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებისთვის. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითთმართველობასთან. საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს.

მოსწავლისათვის კანონმდებლობითა დადგენილი უფლებების რეალიზებისთვის, სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლეს უფლება აქვს სემესტრულ გამოცდაზე დაშვების მოთხოვნა, რომელსაც განიხილავს დირექტორი გამოცდაზე

დაშვება/არდაშვების შესახებ. გარდა ამისა, სკოლა ორგანიზებას უწევს ექსტერნატის გამოცდის ჩატარებას, ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლების უზრუნველყოფას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობით. ინიციატივები განიხილება თანასწორობის პრინციპის დაცვით, დისკრიმინაციისა და შეზღუდვების გარეშე, ხოლო დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სკოლა არსებული რესურსების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება. მოსწავლეთა თვითმმართველობა ფუნქციონირებს და აქტიურად არის ჩართული სასკოლო პროექტებში. სკოლაში მოქმედებს სხვადასხვა კლუბები და წრეები. „ნიგალელები"; „поговорим по русскй"; „მუზეუმები სკოლაში"; „მარტივი ლოგიკა" ; სპორტული კლუბი მაგიდის ჩოგბურთი და სხვა. კლუბების ხელმძღვანელები სათანადო კვალიფიკაციის პერსონალია და შესაბამისად სკოლას მიღწეული აქვს წარმატებები არაფორმალური განათლების კუთხით, განსაკუთრებით სპორტული მიმართულებით სადაც არაერთი ჯილდო აქვთ მიღებული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლას აქვს მზაობა სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე განახორციელოს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება. აღნიშნული ნათლად ჩანს მეთდოლოგიურ დოკუმენტებში: „სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის" მიხედვით, სკოლა მუდმივად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს, მიღებული უკუკავშირი კი სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის საფუძველი შეიძლება გახდეს; კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სკოლა კურიკულუმების შემუშავების და რევიზიის დროს ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების მოსაზრებებს და არსებული გამოცდილების ანალიზს იყენებს პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში განსაზღვრულია უკუკავშირი სასკოლო საზოგადოების მხრიდან. მაგალითად „პერსონალის მართვის პოლიტიკა" განსაზღვრავს შეფასებას, როგორც „კონსტრუქციულ უკუკავშირს განვითარებისთვის". ეს გულისხმობს სისტემურ ანალიზს და ინოვაციური

ხედვების დაგეგმვას მიღებული შედეგების საფუძველზე (მუხლი 20, პუნქტი 3.2); ასევე „ტრანზიციის დებულება“ ითვალისწინებს მოსწავლეებისგან, მშობლებისგან და პედაგოგებისგან რეგულარული უკუკავშირის შეგროვებას (მუხლი 4.3). პროცესის ეფექტიანობის შესაფასებლად გამოიყენება სპეციალური „უკუკავშირის ფორმები“ (მუხლი 6.1).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- დამრიგებლის დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა, 2025-2026 სასწავლო წლები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- პერსონალის მართვის პოლირიკა’
- ტრანზიციის დებულება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება არ არის ორგანიზებულად წარმართული. იგულისხმება სკოლას არ ყავს ამ მიმარტულებით განსაზღვრული თანამშრომელი ან/და არ აქვს დაგეგმილი აქტივობები მიზანმიმართულად, თუმცა ხორციელდება დაუგეგმავი აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში პროფესიული ორიენტაციის აზროვნების განვითარებას. სკოლამ წარმოადგინა ერთი მასწავლებლის ანგარიში პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით განხორციელებული აქტივობებისა, რომელიც ჩატარდა X, XI, XII კლასის მოსწავლეებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა, ახდენს მოსწავლეების / მათი მშობლების, კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების საკითხებთან დაკავშირებით; წინა ინდიკატორში ნახსენებ ანგარიშში აღნიშნულია, რომ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით სკოლაში მოიწვიეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი, რომელთან ინტერაქციაში განიხილეს საკითხები: პროფესიული კარიერის დაგეგმვა; საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი; სტუდენტური ცხოვრება და შესაძლებლობები. გარდა ამისა, საბაზო და საშუალო საფეხურების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია რეგიონის და საქართველოს მასშტაბით პროფესიული და უმაღლესი დაწესებულებების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა იყენებს მონიტორინგისა და უკუკავშირის სისტემებს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მუდმივი სრულყოფისთვის/ხარისხის გაუმჯობესებისთვის. მაგალითად: რეგულარული უკუკავშირის მექანიზმებია გათვალისწინებული „ტრანზიციის დებულებაში“ რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეებისგან, მშობლებისგან და პედაგოგებისგან რეგულარული უკუკავშირის შეგროვებას (მუხლი 4.3). პროცესის ეფექტიანობის შესაფასებლად გამოიყენება სპეციალური „უკუკავშირის ფორმები“ (მუხლი 6.1). ასევე, „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ განსაზღვრავს შეფასებას, როგორც „კონსტრუქციულ უკუკავშირს განვითარებისთვის“. ეს გულისხმობს სისტემურ ანალიზს და ინოვაციური ხედვების დაგეგმვას მიღებული შედეგების საფუძველზე (მუხლი 20, პუნქტი 3.2). გარდა ამისა სკოლამ უკუკავშირი მიიღო სასკოლო საზოგადოებისგან და შეიმუშავა სკოლის ფილოსოფია, გარდა ამისა, სკოლა აკვირდება კურსდამთავრებულების შედეგებს მათი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- „პერსონალის მართვის პოლიტიკა“
- მასწავლებლის/დამრიგებლის ანგარიში პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით განხორციელებული აქტივობებისა;
- ტრანზიციის დებულება.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლება - სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები, რომელშიც განსაზღვრულია მოსწავლეთა სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების პროცედურები, დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია რა როლი აქვთ პროცესში კლასის დამრიგებელს, მასწავლებელსა და სპეც მასწავლებლებს; განსაზღვრულია რა დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს სკოლამ და რა პროცედურებია გასავლელი სსსმ სტატუსის მინიჭება/მოხსნისათვის. დოკუმენტი არეგულირებს ასევე პირველ კლასში სსსმ მოსწავლის სტატუსით დარეგისტრირებული მოსწავლის შეფასების პროცესს. ინკლუზიური განათლების პროგრამაში დაწვრილებით არის გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცესი, ვინ არიან ისგ-ს წევრები, რა ფუნქცია-მოვალეობები აკისრიათ მათ, პროგრამაში დადგენილია სსსმ მოსწავლის შეფასების მექანიზმები, შინ სწავლების საკითხები, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის საკითხები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის სასწავლო გეგმისა და ინკლუზიური განათლების მიხედვით, სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესი ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ამ ეტაპზე სკოლას ჰყავს 2 სსსმ მოსწავლე. სკოლამ

წარმოადგინა ინდგეგმების შემუშავების ჯგუფის ბრძანება და შეხვედრების ოქმები. ისგ ჯგუფის წევრები არიან მოსწავლის მშობელი, სპეცმასწავლებელი, დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები. თითოეული მათგანის ჩართულობისა და თანამშრომლობის მიზანია დაეხმაროს მოსწავლეს წინსვლასა და განვითარებაში. ისგ ჯგუფი ვალდებულია მჭიდრო კომუნიკაცია ჰქონდეს მშობელთან, სისტემატურად განიხილოს მიღწევები და სირთულეები, ასევე საკუთარი შედეგები გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას და მასთან ერთად დასახოს წინსვლის გეგმები.
სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების მონიტორინგის დასკვნა, რომელიც მისი შედგენიდან დადგენილ ვადაში გადაეგზავნა სამინისტროს. დასკვნაში აღნიშნულ ხარვეზებისა და შენიშვნების გათვალისწინება მოხდება მომავალი ინდგეგმის შემუშავებისას, რაც იმის მაჩვენებელი იქნება, რომ სკოლა სსსმ მოსწავლის წინსვლისთვის და განვითარებისთვის გამოიყენებს წინარე გამოცდილებას, რომელშიც სასკოლო საზოგადოება იყო ჩართული. წარმოდგენილი დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ სკოლა აცნობიერებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას სსსმ მოსწავლის მხარდაჭერის პროცესში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა, 2025-2026 სასწავლო წლები
- სასკოლო სასწავლო გეგმის ინკლუზიური განათლება.
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის მასალები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი**

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა მოსწავლეებს ამ ეტაპზე არ სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. მოსწავლეები სარგებლობენ ტრანსპორტით, რომელიც ხუთი მიმართულებიდან ახორციელებს მოსწავლეთა ტრანსპორტირებას. სკოლის დირექცია აკონტროლებს მძღოლების ვალდებულებების შესრულებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა სახის დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობას კლუბების სახით „ნიგალელები“; „поговорим по русски“; „მუზეუმები სკოლაში“; „მარტივი ლოგიკა“ ; სპორტული კლუბი მაგიდის ჩოგბურთი და სხვა, რომლებში მონაწილეობაც მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით. თითოეულ მათგანში მონაწილეობის წესი განასაზღვრულია კონკრეტული კლუბის დებულებით, წრეში გაწევრიანების წესით. ყოველივე ეს კლუბი ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ მოსწავლეთათვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურეობები ხორციელდება უსაფრთო გარემოში და დაცულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანსპორტით მომსახურების ტაბელები;
- საკლუბო წესდებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება**

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლას 2025 წლის 05 სექტემბრის N-46 ბრძანებით აქვს დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები და პრინციპები. დოკუმენტიდან ჩანს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართულები არიან მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია და გათვალისწინებული არის სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. კურიკულუმის შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესებს და შეხედულებებს. მეთოდოლოგია განსაზღვრავს პროცესში ჩართული მხარეების ფუნქციებს და საზოგადოების ინფორმირების შესაძლებლობას. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, სკოლაში ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკის არსებობა. კათედრის წევრები ერთობლივად განიხილავენ საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას, შესაძლებლობებს, ინტერესებს და შესაბამისად გეგმავენ საგნობრივ კურიკულემებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. საავტორიზაციო პროცესში წამოდგენილია მშობელთა კრებების ოქმები და კითხვარები, რომლებიც ადასტურებს მშობელთა ინფორმირებას და ჩართულობას. ასევე, ავტორიზაციის ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენლებს შორის გამართული ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლაში საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლაში დანერგილია ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკა. როგორც კათედრის შიგნით, ისე კათედრებს შორის, ერთმანეთთან შეთანხმებით დგინდება შესასწავლი თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, შესაძლო საჭიროებები და ინტერესები, ასევე კოლეგების შეხედულებები და რეკომენდაციები. მასწავლებლები კურიკულუმის შექმნისას განიხილავენ თითოეული თემის შესაბამის საკითხს, მსჯელობენ ამ საკითხის შესახებ მოსწავლეებისა და მშობლების უკუკავშირის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრულია მათი ინფორმირება და უკუკავშირის მექანიზმები. მშობლების ინფორმირება და ჩართულობა კურიკულუმის შესახებ ხდება დამრიგებლების მიერ მოწვეულ მშობელთა კრებების მეშვეობით და ასევე სოციალური ქსელებით. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში ტარდება მშობლებთან შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მშობლებს დამრიგებლის მხრიდან მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ. ასევე თითოეული საგანში წინასწარ გაწერილია საგნობრივი კურიკულუმების შინაარსი, მიზნები, შედეგები და შეფასების სისტემები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 სასწ.წ);*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კითხვარი მშობლებისთვის;*
- *მშობელთა კრების ოქმები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური).*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	***საბუნებისმეტყველო კათედრის სამივე საფეხურის*** კურიკულუმებში გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემის სწავლება, საკითხები დალაგებულია ისე , რომ მოსწავლსათვის შედეგის მიღწევა უფრო ხელსაყრელი იყოს კურიკულუმში შუალედური სასწავლო მიზნების მისაღწევად დაგეგმილია კომპლექსურები, პროექტები ან სხვა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. სასწავლო პროცესი თანხვედრაშია საგნობრივ კურიკულუკუმთან , რაც დადასტურდება შესრულებული აქტივობების საფუძველზე, (შემოქმედებითი პროდუქტის ამსახველი ფოტო მასალა, შესრულებული დავალების ნიმუშები, რეფლექსიები.) **ხარვეზი. დაწყებითი საფეხურის მე-4 კლასის ბუნების სტანდარტში,** *ესგ-თი გათვალისწინებულია **2 თემის** დამუშავება **„ დედამიწა“** და **„ციკლური პროცესები“** **სკოლის** კურიკულუმში შეტანილია **5 თემა,** აღნიშნული თემები არ არის შესაბამისობაში ესგ-ს სტანდარტთან.* ***სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში გადმოაგზავნა მე-4 კლასის ბუნების კურიკულუმი, სადაც აღწერილი ხარვეზი გამოსწორებულია, ამიტომ ამ გარემოების გათვალისწინებით*** **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებას. ძირითადი კონტექს-მაგალითები ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი რესურსების გამოყენება, მაგ. ინტერნეტ

	რესურსები, დამატებითი ლიტერატურა, ექსკურსიები. საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნების არჩევა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხდება. **რჩევა: (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)** სასურველია კურიკულუმების შედგენისას მეტად იქნეს გათვალისწინებული ადგილობრივი ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოსა და ტრადიციების შესწავლა. ***რჩევა (დაწყებითი -, საგანი "ჩვენი საქართველო")*** მოსწავლეებს განსაკუთრებით მე-5 კლასში ეცადეთ შეურჩიოთ ისეთი შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც იქნება უფრო მორგებული და ადვილად შესრულებადი, თუნდაც ჯგუფური მუშაობა რაიმე პროდუქტზე, ვიდრე ეს იქნება ინტერვიუს აღება ან რეპორტაჟის მომზადება **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი თითოეული საფეხურისთვის შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვია და გათვითარების გზას. ურიკულუმში ჩაშენებული სამიზნე ცნებები, შუალედური მიზნები და შემოქმედებითი პროდუქტის ამსახველი აქტივობები მიმართულია აქტიური, ინტერაქციული და თანამშრომლობითი სწავლებისაკენ. ასაუბრების დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვის/გადაგეგმვის დროს ითვალისწინებენ შემდეგ ფაქტორებს, როგორიცაა მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. ასწავლებლები ცდილობენ შექმნან სწავლების დიფერენცირებული და ინკლუზიური გარემო. გასაუბრების პროცესში მიღებული რჩევა, რომელიც ეხებოდა კათედრის მიერ კურიკულუმის ერთიანი ფორმის შექმნას, მასწავლებლებმა სრულად გაითვალისწინეს. აღნიშნული ნაბიჯი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო პროცესის სტრუქტურირებასა და სისტემატიზაციას. მასწავლებელთა მიერ რეკომენდაციების გათვალისწინება

	ადასტურებს მათ პროფესიულ პასუხისმგებლობასა და მზადყოფნას, განახორციელონ სასწავლო პროცესის უწყვეტი გაუმჯობესება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი **დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურის** თავდაპირველ გამოგზავნილ დოკუმენტებში მუსიკის საგნობრივი კურიკულუმები მუსიკის საგანში მიემართება სასწავლო გეგმის გრძელ ვადიან მიზნების და სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, საგნობრივი კურიკულუმი ორიენტირებული იყო მოსწავლეზე და იკვეთებოდა მათი განვითარების გზა. დოკუმენტებიდან იკვეთება რომ სასწავლო შედეგები მიიღწევა შუალედური მიზნებისა და სამიზნე ცნებების გააზრებით. ჩანს რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული და ასახავს დაგეგმვისა და განვითარების გზას. რაც შეეხება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმებში შეინიშნებოდა სამივე საფეხურის ზოგიერთ კლასებში უზუსტობები, რომლებიც სკოლასთან ვიზიტისას გაცემული რეკომენდაციების მიხედვით, ინტერვიუს შემდეგ იქნა გამოსწორებული და მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებელთა მიერ შერჩეული თემები, შემოქმედებითი დავალებები ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, მოთხოვნებს. კურიკულუმის ფარგლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა მოსწავლეებს აკადემიური და პიროვნული განვითარებისთვის ხელშემწყობ აქტივობებსა და დავალებებს სთავაზობს. **რჩევა:** საბაზო საფეხურზე სახელმწიფი ენის კათედრის მიერ შესრულებული შემოქმედებითი ბუნების დავალებები სასურველია აისახოს კურიკულუმებში.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	კურიკულუმებში ნათლად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის მცდელობა: თემები და აქტივობები ხშირად დაკავშირებულია მოსწავლის გამოცდილებასთან და რეალურ ცხოვრებასთან. მაგალითად, I კლასში „ჩემი ეზო“ და „საზეიმო გირლიანდების მომზადება“, II კლასში „ფერმის შექმნა“ და „კინოთეატრის ბილეთები“, III კლასში მაკეტის შექმნა, V კლასში „ლუკას ვენახი“ და სამომხმარებლო ამოცანები, VI კლასში პიკნიკის დაგეგმვა, IX კლასში „მათემატიკური დეტექტივი“ და XI კლასში „ეშმაკის ბორბლის მოძრაობის“ მოდელირება - ეს მაგალითები მიუთითებს კონსტრუქტივისტულ მიდგომაზე და ცოდნის რეალურ კონტექსტში გამოყენებაზე. დადებითად უნდა შეფასდეს, რომ კურიკულუმებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, რაც ქმნის გრძელვადიანი მიზნების. თუმცა კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებების მნიშვნელოვანი ნაწილი აღწერილია მხოლოდ სათაურის ან მოკლე იდეის დონეზე, რაც არ იძლევა მათი სრულფასოვანი განხორციელების შესაძლებლობას სასწავლო პროცესში. შერჩეული დავალებების სრული შინაარსი სკოლას ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელი აქვს - ამ ეტაპზე კურიკულუმში შეტანილია მხოლოდ რამდენიმე სრულად გაწერილი დავალების ბარათი, ხოლო დანარჩენი წარმოდგენილია ზოგადი ფორმით. **რჩევა:** (ეხება სამივე საფეხურს) ან ყველა შერჩეული დავალებისთვის მოამზადოს სრულფასოვანი ბარათები (პირობა, მიზანი, შესრულების ეტაპები, შეფასების კრიტერიუმები, მოსალოდნელი შედეგი); ან ამოიღონ კურიკულუმიდან ის დავალებები, რომელთა დეტალური შინაარსიც არ მოეპოვებათ. ეს უზრუნველყოფს კურიკულუმის პრაქტიკულ გამოყენებადობას და გაზრდის მისადმი სანდოობას როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის ინსტრუმენტის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები (**სამივე საფეხურისთვის**), ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებიდან. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს და მორგებულია სკოლის შესაძლებლობებზე. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს შეუწყობს მოზარდის საფეხურებრივი სტანდარტის მოსალოდნელ შედეგზე გაყვანას. **დაწყებითი საფეხურის** კურიკულუმის ჩარჩოში იყო მცირე შინაარსობრივი უზუსტობა, რაც აღინიშნა ინტერვიუსას, გაითვალისწინეს პედადოგებმა და ვიზიტის შემდეგ გამოაგზავნეს შესაბამისი დოკუმენტი. მათ მიიღეს ასევე რჩევა სამომავლოდ. **რჩევა:** სასურველი იქნება, სამომავლოდ, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო იყოს ერთნაირი დიზაინით. (დაწყებითი საფეხური) **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერულ ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდების დაგეგმვა და განვითარების გზა. კლასების მიხედვით წარმოდგენილია თემები, სამიზნე ცნებები - მათზე მორგებული შემოქმედებითი დავალებები და შესაბამისი რესურსები. ასევე შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო შინაარსის ლოგიკურ სტრუქტურირებას და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ეტაპობრივ, გააზრებულ და სისტემურ დაუფლებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და შესაძლებლობები, რაც კარგად ჩანს მათ მიერ

	განხორციელებულ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. ეს ხელს უწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესის გაზრდას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ასევე, ყველა მეთოდი, აქტივობა, თუ რესურსი არის მრავალფეროვანი და მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **რჩევა:** სასურველია სკოლის მიერ წარმოდგენილ მე-4 კლასის ბუნების კურიკულუმში არსებული თემები თანხვედრაში მოვიდეს ე.ს.გ-თი გათვალისწინებულ თემებთან. კერძოდ ე.ს.გ-თი გათვალისწინებულია ორი თემა, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში კი წერია ხუთი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმებში ეროვნული საწავლო მიზნები შესაბამისობაშია შესასწავლ თემებთან და საკითხებთან.. აქტივობები დაგეგმილია ეროვნული სასწავლო მიზნების შესაბამისად., საგნის საათობრივი დატვირთვა შესაბამისობაშია ესგ-ს სტანდართან. თემის/ საკითხის შესასწავლად გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს შედეგის მღწევას. საგნობრივი აქტივობები შესაბამისობაშია თემასთან და საკითხთან რაც მოსწავლეს გაუადვილებს საკითხის გააზრებას (კვლევა, კომპლექსური დავალება, პროექტი) **ხარვეზი:**

	<u>დაწყებითი საფეხურის ბუნების მე-4 კლასის</u> კურიკულუმში გათვალისწინებული სავალდებულო **თემები და შესაბამისად სამიზნე ცნებებიც არ შეესამება ესგ-ს სტანდარტს.** *<u>საგაზო საფეხური- ფიზიკა მე-7 კლასი</u>* პირველ თემაში ,,**ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები**" არ არის გათვალისწინებული სამიზნე ცნებები ,,**მოძრაობა და ცვლილებები**" და ,,**ენერგია და ურთიერთქმედება**" <u>ამოსაღებია</u> სამიზნე ცნება ,,**ფიზიკური პროცესი**" მეორე თემაში ,,**თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა**" არ არის გათვალისწინებული სამიზნე ცნება ,,**მატერია**" და ,,**მოძრაობა და ცვლილებები**" <u>ამოსაღებია</u> სამიზნე ცნება ,,**ფიზიკური პროცესი**" მესამე თემაში ,,**ძალა და წნევა**" არ არის გათვალისწინებული სამიზნე ცნება ,,**მოძრაობა და ცვლილებები**" და ,,**ენერგია და ურთიერთქმედება**" <u>ამოსაღებია</u> სამიზნე ცნებები ,,**ძალა**" და ,,**ფიზიკური პროცესი**" <u>ფიზიკა მე-8 კლასი</u> პირველ თემაში ,,**მექანიკური მოვლენები**" არა სწორადაა შეტანილი ყველა სამიზნე ცნება აღნიშნული თემა გადის შემდეგ სამიზნე ცნებებზე: ,,**მოძრაობა და ცვლილებები**"; ,,**ენერგია და ურთიერთქმედება**"; ,,**კვლევა**" **მეორე** თემაში ,,**სითბური მოვლენები**" არ არის გათვალისწინებული სამიზნე ცნებები ,,**მოძრაობა და ცვლილებები**" და ,,**ენერგია და ურთიერთქმედება**" <u>ამოსაღებია</u> სამიზნე ცნებები ,,**ენერგია**", ,,**ძალა**" და ,,**ფიზიკური პროცესი**" **ფიზიკა მე-9 კლასი** თემაში ,,**არათანაბარი და მრუდწირული მოძრაობა**" არ არის გათვალისწინებული სამიზნე ცნებები ,,**მოძრაობა და ცვლილებები**" <u>ამოსაღებია</u> სამიზნე ცნებები ,,**ენერგია**", ,,**ძალა**" და ,,**ფიზიკური პროცესი**" თემაში ,,**სტატიკა და დინამიკა**" არ არის გათვალისწინებული სამიზნე ცნებები ,,**მოძრაობა და ცვლილებები**" და ,,**ენერგია და ურთიერთქმედება**" <u>ამოსაღებია</u> სამიზნე ცნებები ,,**ენერგია**", ,,**ძალა**" და ,,**ფიზიკური პროცესი**"

	ქიმიის მე-8 კლასი- მესამე თემაში „ელემენტთა ორგანიზების პრინციპი“ არ არის გამოყენებული სამიზნე ცნება **„ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი“**- ეს **<u>სამიზნე ცნება დასმატებელია.</u>** ***სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში გადმოაგზავნა ხარვეზის გამოსწორების დამადასტურებელი კურიკულუმები, სადაც ზერმოთ აღწერილი ხარვეზი გამოსწორებულია, ამიტომ ამ გარემოების გათვალისწინებით*** **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტესტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას. **რჩევა: საშუალო საფეხური.** მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმის თემატიკა მოცემულია ძველი სახელმძღვანელოში არსებული თემებით და საკითხებით, სასურველია ესგ-ს შესაბამისად გაკეთდეს კურიკულუმი, როგორც ისტორიაში ისე საქართველოს ისტორიის საგნისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ შემუშავებული უცხოური ენის სამივე საფეხურის კურიკულუმები მიზნად ისახავს მოსწავლეთა მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას, მოიცავს იმ შინაარსობრივ კომპონენტებს, უნარებსა და ღირებულებით დამოკიდებულებებს, რომლებიც განსაზღვრულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. კურიკულუმის კონცეპტუალური სტრუქტურა ეფუძნება სამ ძირითად კატეგორიას: **ტექსტი, სამეტყველო ქმედება და ენობრივი საშუალებები**. ასეთი კლასიფიკაცია უზრუნველყოფს ენობრივი კომპეტენციების ინტეგრირებულ განვითარებას, რაც მოიცავს ტექსტის გააზრებას,

	კომუნიკაციური უნარების ეფექტიან განხორციელებას და შესაბამისი გრამატიკული თუ ლექსიკური რესურსების მიზანმიმართულ გამოყენებას. კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს რომ **ლექსიკური კომპეტენციის გაძლიერება** განიხილება როგორც სასწავლო პროცესის ცენტრალური მიმართულება. მასწავლებელთა მიერ განხორციელებული პედაგოგიური პრაქტიკა მიზნად ისახავს მოსწავლეთა ლექსიკური რესურსების სისტემურ გაფართოებას, რაც მოიცავს როგორც ახალი ლექსიკური ერთეულების ათვისებას, ისე მათი ფუნქციური გამოყენების უნარის განვითარებას სხვადასხვა კომუნიკაციურ სიტუაციაში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ენობრივი კომპეტენციის ხარისხობრივ გაუმჯობესებას და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსწავლეთა შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებით საბაზო და საშუალო საფხურზე** წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ძირითადად მუსიკის საგანში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნების სტანდარტების მოთხოვნებს. გამოკვეთილი იყო, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული ესგ და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, ჩანდა რომ საგნობრივი კურიკულუმები კათედრაზე შემავალი წევრების ერთობლივი ნამუშევარია, სადაც ასახულია ესგ და სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემატური ბლოკები, თემები სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, რესურსები, აქტივობები და შემოქმედებითი ტიპის დავალებებ. დაგეგმილი აქტივობები სასწავლო შედეგებისა და ფუნქციური უნარების განვთარებას უწყობს ხელს. დაწყებით საფეხურზე შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, სახალისო აქტივობები, რაც შეეხება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმებში შეინიშნებოდა მცირე უზუსტობები, ისინი აცდენილი იყო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს ზოგიერთ კლასებში, მაგალითად: გამოტოვებული იყო სავალდებულო თემატური ბლოკების დასახელებები, კურიკულუმის ჩარჩო სტრუქტურულად ნაკლებად ემთხვეოდა ერთმანეთს, არ იყო შეთანხმებული კათედრაზე ჩარჩოს ფორმა, რომლის გამო თითქმის ყველა კლასის

	ხელოვნების კურიკულუმი განსხვავებული ჩარჩოთი იყო წარმოდგენილი, გამოტოვებული იყო სარეკომენდაციო თემები, რომლებიც სავალდებულო თემატური ბლოკის განსაზღვრის შემდეგ უნდა აარჩიოს მასწავლებელმა, რადგან სკოლას ამ საგნის კვალიფიციური მასწავლებელი არ ყავს კურიკულუმში სწორად არ იყო ძირითადი საკითხი, კონტექსტ მაგალითი და შემოქმედებითი ტიპის დავალებები არასწორად იყო გააზრებული, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი სკოლასთან ვიზიტის და მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ, გაცემული რჩევების და რეკომენდაციების საფუძველზე გამოსწორებული იქნა, დოკუმენტები რომლებიც ვიზიტის შემდგომ იქნა გადმოგზავნილი ორივე საგანში (მუსიკა-ხელოვნება) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, თუმცა ხელოვნების მე-5 და მე-6 კლასის საგნობრივი კურიკულუმები საჭიროებს მცირე რედაქტირებას, მოცემული რჩევის შესაბამისად. **რჩევა: დაწყებითი საფეხური** **სასურველია** • მე- 5 და მე-6 კლასის ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმი დარედაქტირდეს და კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სტრუქტურული ერთეულები იმ პრინციპით შეივსოს როგორც დანარჩენი კლასის საგნობრივი კურიკულუმი. • საგნობრივ კურიკულუმში სავალდებულო თემატური ბლოკები ჩაიწეროს იმ პრინციპით, როგორც ეს დაწყებითი კლასების საგნობრივ კურიკულუმშია გაკეთებული, გამოიყოს მისთვის ცალკე ჰორიზონტალური ველი და ამის შემდეგ განისაზღვროს სარეკომენდაციო თემები , რომელიც სასწავლო დღეების მიხედვით იქნება გათვალისწინებული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ

	გრძელვადიან მიზნებს. შუალედური მიზნების მისაღწევად კურიკულუმებში ჩაშენებულია შემოქმედებითი ბუნების დავალებები. სამივე საფეხურის კურიკულუმებში იკითხება, რომ დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. შერჩეული კომპლექსური ბუნების დავალებები შეძლებისდაგვარად გათვლილია ისეთი გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა: მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და სხვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმებში ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე ორიენტირების მცდელობა: სამივე საფეხურზე სისტემურად არის წარმოდგენილი ძირითადი სამიზნე ცნებები — „მათემატიკური მოდელი“, „კანონზომიერება“, „ლოგიკა“, რაც პირდაპირ ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსობრივ ჩარჩოს. თემები საფეხურიდან საფეხურამდე თანმიმდევრულად რთულდება: დაწყებით საფეხურზე ყურადღება გამახვილებულია რიცხვებზე, სიდიდეებზე და სივრცით ორიენტაციაზე (მაგ., I კლასში „ჩემი ეზო“, II კლასში რიცხვები 100-მდე), საბაზო საფეხურზე ჩნდება ალგებრული გამოსახულებები, რაციონალური და ირაციონალური რიცხვები, მონაცემთა ანალიზი, ხოლო საშუალო საფეხურზე კურიკულუმი გადადის ფუნქციებზე, ტრიგონომეტრიასა და უფრო აბსტრაქტულ მათემატიკურ საკითხებზე (X I –XII კლასები). **რჩევა**: მიზანშეწონილია სკოლის ადმინისტრაციამ პერიოდულად გადაამოწმოს, რამდენად შეესაბამება სასწავლო პროცესი კურიკულუმში დაგეგმილს, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტის პრაქტიკულ გამოყენებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისათვის) მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები საგნობრივი სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან საფეხურის მიხედვით.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები მორგებულია ესგ--ით განსაზღვრულ გრძელვადიან გეგმებზე და სტანდარტის შედეგებზე. წარმოდგენილი თემები და მათზე მორგებული სამიზნე ცნებები სწორად და ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც უზრუნველყოფს დადგენილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნების მიღწევას. კურიკულუმებში ასევე მიზნებთან შესაბამისობაშია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის განვითარებაზე და საგანთა შორის ინტეგრირებაზე. აღნიშნული დავალებები ხელს უწყობს შემოქმედებითი და კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრის ორგანიზებას; რაც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგანმანათლებლო მიზნებთან და ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან თანხვედრაშია. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდატებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. თემებს ახლავს პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაზე ორიენტირებული აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	აქტივობების დაგემვა ხდება სკოლის ხელთ არსებული მატერიალური რესურსის შესაბამისად. სკოლა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ბიბლიოთეკას, ვირტუალურ ლაბორატორიას, მოდელებს, პლაკატებს, კომპიუტერებს, პროექტორს, ქსეროქსს და სხვა მატერიალურ რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები, სამეცნიერო ვიდე-ფილმები, ფოტო მასალა, თემატური რუკები. ინტერნეტ-პლატფმორმები, ტელე სკოლის გაკვეთილები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენის კათედრის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიზანმიმართულობასა და შედეგიანობას. მასწავლებელთა მიერ უკვე გამოყენებული რესურსები ქმნის სასწავლო პროცესის შესაბამის საფუძველს. **რჩევა:** სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, სასურველია სკოლამ გააფართოოს საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების პრაქტიკა. მრავალფეროვანი რესურსების ინტეგრირება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ენის ოთხივე ძირითადი უნარის — მოსმენის, მეტყველების, წერისა და კითხვის — თანმიმდევრულ განვითარებას (ეხება სამივე საფეხურს). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებით საბაზო და საშუალო საფეხურზე** სკოლას კათედრაზე განხილული აქვს და არჩეული ძირითად საგანმანათლებლო რესურსად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. (კათედრის ოქმი #1) საგნობრივ კურიკულუმებში შერჩეულია სასწავლო რესურსი, ელექტრონული რესურსები რომელიც ხელს უწყობს საკითხის/თემის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებას. კურიკულუმებში მოცემული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები მიზნობრივად და სწორად არის შერჩეული მაგალითად: ილუსტრაციები, პლაკატები, სასწავლო ბარათები, მასწ, მიერ შექმნილი რესურსები თვალსაჩინოებები, ელ რესურსები, რომლებიც ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში შემოქმედებითი, კოგნიტური და აკადემიური უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის კურიკულუმებში ძირითად რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, უმრავლეს მათგანში დამატებითი რესურსებიცაა ჩანიშნული, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე კლასის კურიკულუმს, რომელშიც მხოლოდ ძირითადი სახელმძღვანელოს გვერდებია მინიშნებული. ცალკე გამოგზავნილ ფაილში ნაჩვენებია, ძირითადად რა რესურსებს იყენებს კათედრა. სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარებული კათედრის სხდომის ოქმიდანაც ირკვევა, როგორ არჩევს და ამტკიცებს ყოველი მასწავლებელი მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებზე, მათ განვითარებაზე მორგებულ რესურსებს. ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს მასწავლებლებმა, გამოყენებული ელექტრონული რესურსებისა და სხვა დამატებითი სასწავლო მასალების შესახებ. სახელმწიფო ენის კათედრას აქვს გამოცდილება, თავადაც შექმნან სასწავლო რესურსები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე დამატებით საგანმანათლებლო მასალებს (ვიდეორესურსები, ონლაინ პლატფორმები, „ტელესკოლა“, „ხანის აკადემია“, „კარგი სკოლა“ და სხვ.). აღნიშნული რესურსები თემატურად დაკავშირებულია კურიკულუმით განსაზღვრულ საკითხებთან და ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლემ სხვადასხვა ფორმით (ვიზუალური, აუდიო, პრაქტიკული) აღიქვას და დაამუშავოს სასწავლო მასალა. მაგალითად, დაწყებით კლასებში რესურსები მიმართულია საბაზისო უნარების განვითარებაზე (რიცხვითი წარმოდგენები, ფიგურები, სიდიდეები), ხოლო მაღალ კლასებში - უფრო რთული ცნებების გააზრებაზე (ფუნქციები, მონაცემთა ანალიზი, ტრიგონომეტრია). თუმცა კურიკულუმებში რესურსები ზოგიერთგან წარმოდგენილია ჩამონათვალის სახით და ნაკლებად ჩანს, როგორ უკავშირდება თითოეული რესურსი კონკრეტულ სასწავლო შედეგს ან დავალებას. ასევე, იშვიათად არის გაწერილი, რა როლს ასრულებს რესურსი სასწავლო პროცესში (ახსნა, განმტკიცება, შეფასება), რის გამოც მათი გამოყენება დიდწილად მასწავლებლის ინდივიდუალურ ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული. ასევე V, VI კლასებში რესურსები უფრო ჩამონათვალის დონეზეა წარმოდგენილი. **რჩევა:** (ეხება სამივე საფეხურს) სასურველია, კურიკულუმში რესურსების მითითება იყოს ერთგვაროვან ფორმატში. მიზანშეწონილია სამივე საფეხურზე დაინერგოს რესურსების აღწერის ერთიანი სტილი, სადაც თითოეული რესურსი დაკონკრეტდება თემა-საკითხის მიხედვით. მაგალითად, ყველა რესურსს შეიძლება ჰქონდეს ერთნაირი ფორმატი: რესურსის ტიპი (ვიდეო, სტატია, პლატფორმა); დასახელება; URL მისამართი) ეს უზრუნველყოფს, რომ მასწავლებელმა ზუსტად იცოდეს, როდის და რა მიზნით გამოიყენოს კონკრეტული რესურსი, რაც პირდაპირ შეუწყობს ხელს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
სპორტი	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგებს კურიკულუმში შეტანილი აქვთ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული

	მატერიალ;ური რესურსით - შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით (საბაზო და საშუალო საფეხურისთვის), მასწავლებლის წიგნს - გზამკვლევი დაწყებითი საფეხურისათვის, პრეზენტაციებს თეორიისთვის სხვადასხვა თემაზე, ასევე დამხმარე ელექტრონულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები სხვადსხვა ღია ინტერნეტ წყაროებიდან ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებისა და ვარჯიშების ტექნიკის შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საგან კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსი, კერძოდ: • ტექნიკური და მატერიალური რესურსები: ინტერნეტი, კომპიუტერები, სმარტფონი, პროექტორი, სახატავი საშუალებები, ვიზუალური მასალა; • კომპიუტერული პროგრამები და ვებ-ინსტრუმენტები: Microsoft Office (Word, Excel, PowerPoint), Paint/Paint 3D, Microsoft Office 365 (OneDrive), scratch.mit.edu. • ელექტრონული სასწავლო რესურსები: school.emis.ge, youtube.com, ასევე მასწავლებლის მიერ შექმნილი ციფრული სასწავლო რესურსები. კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ემსახურება კონკრეტული თემის ფარგლებში განსაზღვრული სამიზნე ცნებების და საკითხების დამუშავებას. რესურსები თემების მიხედვით არის შერჩეული და ორგანიზებულია ისე, რომ თითოეული მათგანი მიმართულია შესაბამისი სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევისკენ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში ასახულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის

	მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში. კერძოდ: მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექურად მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილ დოკუმენტებში იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომელიც წარმოადგენს სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების საგნებში შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კურიკულუმი ასევე იძლევა მოდიფიცირების საშუალებას მასში გათვალისწინებული მრავალფეროვანი რესურსების და სასწავლო საკითხების მიხედვით. მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავის უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღწერილი მრავალფეროვანი აქტივობები იძლევა დიფერენცირების საშუალებას. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებასა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვას ახორციელებს ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების ინტეგრირებას სასწავლო გარემოში. ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ მათი მიზანია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, უსაფრთხო და მხარდამჭერ ატმოსფეროში სწავლას, შეცდომებისადმი ტოლერანტულ დამოკიდებულებას და პროგრესზე ორიენტირებულ შეფასებით მიდგომას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებით საბაზო და საშუალო საფეხურის** საგნობრივ პროგრამებში ჩანს რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომებით, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის მათ შორს სსმ მოსწავლეების ინტერესები და შესაძლებლობები, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს რომ იმ კლასებში სადაც ისინი ხელოვნებას და მუსიკას ასწავლიან არ ყავთ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები, თუმცა მზად არიან ამისთვის, იციან როგორ შექმნან ადაპტირებული მოსწავლის საჭიროებაზე შექმნილი დავალებები და აქტივობები, რომელიც ყველა მოსწავლის ჩართვას და ინტეგრაციას ითხოვს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ სწავლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე წარმოდგენილ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები. დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები მოქნილია და მორგებულია სასწავლო პროცესს, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და მასზე აფუძნებს ახალს. ყოველი კლასის კურიკულუმს თან ახლავს ამ კლასში განსახორციელებელი შემოქმედებითი ტიპის დავალებების მოსწავლის ბარათები.

	რომლებიც ცხადყოფს მასწავლებლის მხრიდან თითოეულ მოსწავლეზე ინდივიდუალურ მიდგომას. სკოლაში შექმნილია ,,ლიტერატურული კლუბი", რომლის მიზანია მოსწავლეებში გაზარდოს ლიტერატურისადმი ინტერესი და სიყვარული, ხელი შეუწყოს მოზარდთა წიგნიერებას. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ინკლუზიური სწავლებისა და დიფერენცირებული მიდგომების შესახებ პირდაპირი მითითება არ მოიძიება. ამასთანავე, სკოლაში არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, თუმცა მათ და საგნობრივ კურიკულუმებს შორის კავშირი დოკუმენტურად არ ჩანს. **რჩევა:** (ეხება სამივე საფეხურს) მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს, რომ საგნობრივი კურიკულუმი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ერთმანეთთან შეთანხმებული იყოს და მასწავლებლებს ჰქონდეთ სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის კონკრეტული სტრატეგიები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებიდან ჩანს და პედაგოგებმაც აღნიშნეს საუბრისას, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესაძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი და ჰქონდეთ დიფერენცირებული მიდგომები. მაგალითად, მათ წარმოდგენილი აქვთ სკოლის სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებიც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებელი იყენებს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მათი აკადემიური პროგრესის მხარდაჭერას. სწავლების პროცესში მასწავლებელი მოსწავლეთა მზაობის დონის გათვალისწინებით სთავაზობს განსხვავებული სირთულისა და ფორმატის დავალებებს. დაბალი მზაობის მქონე მოსწავლეებისათვის გათვალისწინებულია მხარდამჭერი რესურსები და დამატებითი ინსტრუქციები, როგორიცაა წინასწარ მომზადებული მასალები, შაბლონები, ტექსტის რედაქტირებაში დახმარება, დავალების შესასრულებლად დამატებითი დროის მიცემა და ინდივიდუალური კონსულტაციები. მაღალი მზაობის მქონე მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა შეასრულონ უფრო კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებები, რაც გულისხმობს დამატებითი ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებას. აღნიშნული მიდგომები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინკლუზიურობას, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას და კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, იყენებენ მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებთ სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტის შესაქმნელად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა იყენებს სამ კოპონენტიან შეფასებას, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ფასდებიან, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებით, დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება მე-5 კლასში მეორე სემესტრიდან მე-6 კლასში კი მთელი წლის განმავლობაში, დანარჩენი კლასები ფასდებიან განმავითარებელი შეფასებით. პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. საუბრისას აღინიშნა, რომ კვლავაც გააგრძელებენ რუბრიკების შექმნასა და დახვეწას . როგორც აღნიშნეს ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და შესასრულებელ აქტივობებს განმავითარებელი შეფასების მიცემისას ძირითადად იყენებენ ზეპირ ფორმას, თუმცა საჭიროების შემთხვევაში გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ორიენტირებულია ფუნქციურ-კომპონენტურ უნარების განვითარებაზე, ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და მათ განვითარებაზეა ორიენტირებული. გარდა ამისა წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება აჩვენებს თუ, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მათ მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

	ასევე წარმოდგენილია თვითშეფასების კითხვარიც, რომელიც ავლენს რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, და რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; შესაბამისად, შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც, მიემართება ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების შესრულებას და ავტომატურად ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენის კათედრის მიერ შემუშავებული სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკები — განმავითარებელი და განმსაზღვრელი — შეესაბამება უცხოური ენის სტანდარტის პრინციპებს. სასწავლო პროცესში განსაკუთრებული ადგილი უკავია განმსაზღვრელ შეფასებას, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის პროგრესის დაფიქსირებასა და მისი განვითარების დინამიკის წარმოჩენას. გასაუბრების პროცესში მასწავლებლებმა გაითვალისწინეს რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა შემაჯამებელი დავალების ანალიზის უფრო კონკრეტულ წარმოჩენას. აღნიშნულის საფუძველზე განხორციელდა შეფასების რუბრიკების კორექტირება, რაც უზრუნველყოფს მათი უფრო მკაფიო და სტანდარტთან შესაბამის გამოყენებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურზე** სკოლის მიერ იქნა გადმოგზავნილი მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები სამინისტროს მიერ სასწავლო გეგმით შემოთავაზებული სარეკომენდაციო შეფასების რუბრიკები, ასევე როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი, რომლებიც შეესაბამება ესგ მიზნებს. დოკუმენტებიდან ჩანს რომ მოსწავლეთა შეფასებისას პრიორიტეტი მინიჭებული აქვთ შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელთა შესრულებისას მოსწავლე მიღებულ ცოდნას გამოიყენებს პრაქტიკაში, დოკუმენტებში ჩანს რომ შეფასების მიზანია შედეგების გაზომვა გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების

	შესაბამისად, მაგ:(სამიზნე ცნებების და ქვეცნებების) გამოყენებით თუმცა კონკრეტულ თემასა თუ საკითხთან მიმართებაში მოსწავლეთა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გამოყენება მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა რომ უჭირთ და საჭიროებენ ამ მიმართულებით დახმარებას, მიცემული რჩევების მიხედვით ისინი მზად არიან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიარონ ტრენინგები ან გაიზიარონ კოლეგების პრაქტიკა, გარდა ამისა სკოლა მოსწავლეებს აფასებს, შემაჯამებელი დავალებებით, პრეზენტაციებით, პროექტებით, და სხვა . შეფასების რუბრიკების ფორმა სკოლის დოკუმენტებში ჩანს რომ განხილულია კათედრაზე და შეთანხმებულია ადმინისტრაციასთან გაცნობილია მოსწავლეებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის(კათედრის სხდომის ოქმი #1) **რჩევა დაწყებითი და საბაზო საფეხურზე** სასურველია სკოლამ შექმნას სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში კონკრეტულ თემაზე თუ საკითხზე მორგებული როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საგნობრივი სტანდარტის გათვალისწინებით **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, გაკვეთილის გეგმებს, შემაჯამებელ სამუშაოებს თან ახლავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მიუხედავად ზოგიერთი შეფასების რუბრიკის შაბლონურობისა, მაინც იკვეთება მასწავლებელთა ძალისხმევა, შეადგინონ კონკრეტული მიზნების მისაღწევად განმავითარებელი და მიღებული შედეგების განმსაზღვრელი შეფასების ფორმები. წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული შეფასებები შესაბამება ეროვნული

	სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები თითო საფეხურზე . დოკუმენტები სტრუქტურულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს: განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესსა და უკუკავშირზე, ხოლო განმსაზღვრელი მოიცავს შეფასების კრიტერიუმებსა და მიღწევის დონეებს. თუმცა წარმოდგენილი მასალა შეზღუდულია და ვერ იძლევა სრულ სურათს შეფასების სისტემის ფუნქციონირების შესახებ ყველა თემასა და კლასში. ასევე, რუბრიკები ზოგად ხასიათს ატარებს და ნაკლებად ასახავს კონკრეტული სასწავლო კონტექსტის თავისებურებებს. **რჩევა:** (ეხება სამივე საფეხურს) მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები ყველა საფეხურისა და ძირითადი თემისთვის და უზრუნველყოს, რომ ისინი რეალურად გამოიყენებოდეს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკები თემების მიხედვით. ისინი შეესაბამება ესგ-ს მოთხოვნებს და შედგენილია ისე რომ, მასში გაწერილი კრიტერიუმები აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ მასალაში მოცემულია, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის პროცესისა და შედეგების კომპლექსურ შეფასებას. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასება მიმართულია მოსწავლეთა პროგრესის, განვითარების დინამიკისა და საჭიროებების გამოვლენაზე, ხოლო წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლეთა მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები შეფასების რუბრიკები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში და ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლემ გააანალიზოს საკუთარი პროგრესი და განსაზღვროს შემდგომი განვითარების მიმართულებები. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც მოსწავლე არის შეფასების პროცესის აქტიური მონაწილე. შესაბამისად, წარმოდგენილი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, უზრუნველყოფს შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, მოსწავლეთა ჩართულობას თვითშეფასების პროცესში და ხელს უწყობს მათი აკადემიური მიღწევებისა და პიროვნული განვითარების მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეფასებას აკეთებენ სამიზნე ცნებების გათვალისწინებით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 სასწ.წ);*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *საგანმანათლებლო რესურსები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (X და XII კლასი);*
- *ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;*
- *განხორციელებული პროექტები;*
- *მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების ამსახველი მასალა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტის ფაილებით და ფოტო მასალებით, სადაც ასახულია კომპექსური დავალებების , პროექტების და სხვა აქტივობების ამსახველი კადრები, აქტივობების განხორციელებისას სკოლა იყენებს მათ ხელთ არსებულ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ასევე წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები, ანალიზი და რეფლექსიები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს 2025-2026 სასწავლო წლისათვის შემუშავებულ კურიკულუმებს, სასწალო პროცესი წარიმართებოდა მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. აზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე გაანალიზების შემდეგ, მასწავლებლები აანალიზებენ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებსა და მიღწევებს და შესაბამისად გეგმავენ თუ რა ცვლილებები შეიტანონ შემდგომში საგნობრივ კურიკულუმებში. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმი ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის კურიკულუმი)

	ასევე საგანმანათლებლო პროექტებზე მუშაობის დროს პროექტი-”მუზეუმი სკოლაში”, რომელიც ითვალუისწინებს ამ კუთხისათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული რესურსების თავმოყრას და მის ინფორმირებას საზოგადოებისათვის’ -დაიგეგმოს და ჩატარდეს საგანთა შორის ინტეგრირებული გაკვეთილები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი მონაცემების ანალიზისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის სტრუქტურულ და მიზნობრივ წარმართვას. სასწავლო აქტივობების, თემატური ერთეულებისა და მიზნების კურიკულუმთან თანხვედრა ქმნის სისტემურ და თანმიმდევრულ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ორიენტირებულია სასწავლო შედეგების მიღწევაზე. მასწავლებლების მიერ გამოყენებული მეთოდები მოიცავს პროექტულ სწავლებას, ინტერაქტიულ აქტივობებს (ქვიზები, ინტეგრირებული გაკვეთილები, ფილმის ჩვენება), რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას. აღნიშნული მიდგომა ქმნის საფუძველს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისა და სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურზე** სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტების მიხედვით ძირითადად მუსიკის საგანში და ნაწილობრივ ხელოვნების საგანში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით ესგ და საგნის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის დოკუმენტებით და მასწავლებელთა ინტერვიურებისასაც გამოიკვეთა რომ კურიკულუმის განხორციელების შემდეგ მოხდება მისი ანალიზი და შედეგების განხილვა, რათა მომავალი პროგრამების შექმნის დროს მოხდეს მისი გათვალისწინება, დამატებით გადმოგზავნილ და დარედაქტირებულ ხელოვნების საგნობრივ კურუკულუმებში ახლავს

	განხორციელების ეტაპები, ხელოვნების დაწყებით და საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები სტრუქტურულად არ იყო დალაგებული და ერთნაირ ჩარჩო კურიკულუმში მოცემული, მცირე უზუსტობები იყო ძირითადი საკითხისა და კონტექსტ მაგალითის გააზრებაში, გამოტოვებული იყო სავალდებულო თემატური ბლოკები, არ იყო სასწავლო დღეების შესაბამისად სასწავლო თემები შერჩეული რამდენიმე კლასში, ინტერვიუს შემდეგ გაცემული რჩევების შესაბამისად სკოლამ შეძლო მისი დარედაქტირება და სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინება, რაც ვფიქრობ სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისად წარიმართება . **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შემოქმედებითი დავალებების ბარათებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები I–XII კლასებისთვის, რომლებიც მოიცავს სამივე საფეხურს - დაწყებითს, საბაზოსა და საშუალოს. კურიკულუმები შედგენილია სასწავლო წლის შესაბამისად და მოიცავს თემებს, საკითხებს, კონტექსტ-მაგალითებსა და სასწავლო რესურსებს, რაც მიუთითებს სასწავლო პროცესის წინასწარ დაგეგმვაზე. **რჩევა:** (ეხება სამივე საფეხურს) მიზანშეწონილია სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს, რომ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები რეალურად გამოიყენებოდეს სასწავლო პროცესის წარმართვისას და არა მხოლოდ დოკუმენტაციის მიზნით. ამისათვის სასურველია ადმინისტრაციამ პერიოდულად გადაამოწმოს, თუ რამდენად ეყრდნობა მასწავლებელი კურიკულუმს პრაქტიკაში.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში, პედაგოგების მიერ გაწერილია ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელსაც ახორციელებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. სასწავლო პროცესის წასახალისებლად, სკოლის ბაზაზე არსებობს მაგიდის ჩოგბურთის წრე და ეწყობა ფესტივალები ამ სახეობაში. პედაგოგების დახმარებით, კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა, როგორიცაა შიდასასკოლო და შიდასაკლასო ფესტივალები, სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ არაფორმალური განათლების მიმართულებითაც და აქვთ საკმაო წარმატებებიც. მაგალითად ფრენბურთში სკოლის გოგონათა გუნდს აქვს წარმატებები რეგიონის მაშტაბით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული კომპლექსური ტიპის დავალებების გეგმები (რომლითაც გათვალისწინებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა), აქტივობებით და შესაბამისი შეფასების რუბრიკებით. წარმოდგენილ მასალაში ჩანს, რომ სასწავლო აქტივობები და შეფასების ინსტრუმენტები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესს გეგმავს სასკოლო კურიკულუმისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, იყენებს შესაბამის შეფასების ფორმებს და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ დაგეგმვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კათედრა გეგმავს, გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლაში დანერგილია პრაქტიკა, საჭიროებებიდან გამომდინარე გადაიხედოს უკვე არსებული კურიკულუმი და მოხდეს მისი ცვლილება, მოსწავლეთა ინტერესებიდან და ზოგადი საჭიროებებიდან გამომდინარე. სასწავლო პროცესი ეფუძნება სკოლაში თანამშრომლობით კულტურასა და ეფექტიან კომუნიკაციას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს, რომ კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან იკვეთება, რომ სკოლის პედაგოგებს სწორად აქვთ გააზრებული მოსწავლეთა შეფასების თავისებურებები, შეფასების რუბრიკებში ასახულია რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. რათა უზრუნველყოფილი იქნას თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწვალის მიმართ , რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა. შესაბამისად წარმოდგენილი შეფასების სისტემები არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. არდა ამისა სკოლა ფართოდ იყენებს მოსწავლეთა მიღწევების დონის დასადგენად დიგნოსტიკურ წერებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნებში და იყენებს განმავითარებელ შეფასებებს, რომელიც ასევე ფართო სურათს იძლევა მოსწავლეთა საჭიროების დასადგენად და მოტივაციის ასამაღლებლად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლაში დანერგილი მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება შეფასების ფუნდამენტურ პრინციპებს და გამოირჩევა ვალიდურობით, გამჭვირვალობით, სანდოობით, ობიექტურობითა და სამართლიანობით. უცხოური ენების კათედრის მიერ გამოყენებული შეფასების მიდგომები უზრუნველყოფს მოსწავლეთა სასწავლო მიღწევების ადეკვატურ გაზომვას, შეფასების პროცესის სიცხადესა და სტრუქტურულობას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას შეფასების რუბრიკების შემდგომი დახვეწისა და კონკრეტიზაციის მიმართულებით, რაც მიუთითებს შეფასების სისტემის უწყვეტი გაუმჯობესების შესაძლებლობაზე.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებში, განსაკუთრებით ინტერვიუს შემდეგ გამოგზავნილ დამატებით დოკუმენტებში, საგნობრივ პროგრამებში და შეფასების რუბრიკებში ჩანს რომ შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და მუდმივი მონიტორინგი. სკოლის შეფასების სისტემის მიზანია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა და მათ განვითარებაზე დაკვირვება, ამისათვის სკოლას გამოყენებული აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმები. რომლის შესახებ ინფორმირებული არიან სკოლა, მოსწავლე და მშობელი. საბოლოოდ კი მასწავლებლები წლიურ და სემესტრულ ანგარიშებში ასახავენ მოსწავლეთა შედეგებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თვითშეფასების ფორმები, შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუშები ასევე სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი ადასტურებს რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდო. შეფასების მრავალფეროვანი ფორმები ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე მშობლებისთვის, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და წინასწარ ინფორმირებულობას. **რჩევა:** სკოლაში არსებობს კონკრეტული შემოქმედებითი დავალებებისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმების შექმნის საუკეთესო პრაქტიკა, სასურველია, ამ პრაქტიკის გათვალისწინებით, ყველა სამუშაო ფასდებოდეს არა ზოგადი, არამედ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკებით (დაწყებითი საფეხური). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მათემატიკაში სტრუქტურულად პასუხობს შეფასების ძირითად პრინციპებს- განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები და ქულები, რაც შეფასებას გამჭვირვალეს და მოსწავლისთვის გასაგებს ხდის. განმსაზღვრელ რუბრიკაში მითითებულია კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები სამიზნე ცნებების მიხედვით, რაც ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპს ემსახურება. თუმცა წარმოდგენილია მცირე რაოდენობით, რაც არ იძლევა იმის შეფასების საშუალებას, თუ რამდენად სისტემური და თანმიმდევრულია შეფასება სხვა კლასებსა და საფეხურებზე. ამასთანავე, ნაწილობრივ ჩანს მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გაცნობის პრაქტიკა. **რჩევა:** (ეხება სამივე საფეხურს) მიზანშეწონილია შეფასების რუბრიკები შემუშავდეს სხვა კლასებისა და თემებისთვისაც, რათა შეფასების სისტემა სკოლაში თანმიმდევრული და სისტემური იყოს. ასევე სასურველია შეფასების კრიტერიუმები ყველა კლასის, ყველა მოსწავლეს თემის დაწყებამდე გაეცნოთ - ეს პრაქტიკა შეფასებას უფრო გამჭვირვალეს და სამართლიანს გახდის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განსმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. წარმოდგენილი რუბრიკები შემუშავებულია ესგ ს მოთხოვნების გათვალისწინებით, გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან და აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას. შექმნილი კურიკულუმით გაწერილი თემის მიხედვით. შესაბამისად შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	შეფასების სისტემა სკოლაში სრულად შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. სკოლამ წარმოადგინა დეტალურად გაწერილი რუბრიკები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს, დონეებსა და მოლოდინებს. აღნიშნული რუბრიკები უზრუნველყოფს, რომ შეფასების პროცესი იყოს თანმიმდევრული ყველა მოსწავლისთვის, ამცირებს სუბიექტური მიდგომის რისკებს და ზრდის ნდობას როგორც მოსწავლეთა, ასევე მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდან. შეფასების კრიტერიუმების წინასწარი გაცნობა ხელს უწყობს მოსწავლეთა უკეთეს აკადემიურ ორიენტაციას და საკუთარი პროგრესის გააზრებას. დოკუმენტაციის შეწვლისას ირკვევა, რომ სკოლაში მოქმედებს შეფასების **ვერიფიკაციის მექანიზმი,** რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის დამატებით მონიტორინგსა და ხარისხის უზრუნველყოფას. აღნიშნული მექანიზმი ხელს შეუწყობს შეფასების შედეგების სიზუსტის გადამოწმებას და უზრუნველყოფს შეფასების სამართლიანობასა და თანმიმდევრულობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლას 2025 წლის 03 სექტემბრის N-48 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი და ასევე, ბრძანებით განსაზღვრული ყავს ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზანია დაწესებულებაში შეფასების სისტემა იყოს სანდო ვალიდური და გამჭვირვალე პროცესი, ასევე სამართლიანი და ობიექტური. დოკუმენტში წარმოდგენილია ვერიფიკაციის პრინციპები, მიზნები, ამოცანები და აღწერილია ვერიფიკაციის პროცესი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ეს პრაქტიკა უზრუნველყოფს მონაცემების ხელმისაწვდომობას კონტროლის, ანალიზისა და შემდგომი განვითარების მიზნით, აუმჯობესებს შეფასების სანდოობას და გამჭვირვალობას, ასევე ხელს უწყობს სასკოლო პროცესების მართვასა და კურიკულუმის განხორციელების ხარისხის მონიტორინგს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026);*
- *სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *სასწავლო რესურსების ფოტომასალა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების ამსახველი მასალა;*
- *ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა;*

- *განხორციელებული პროექტები სამივე საფეხურზე.*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	აქტივობების განხორციელებისას სკოლა იყენებს მათ ხელთ არსებულ ძირითად და დამხმარე რესურსებს. რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტის ფაილებით და ფოტო მასალებით, სადაც ასახულია კომპექსური დავალებების, პროექტების და სხვა აქტივობების ამსახველი კადრები, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, გამართული ინტერნეტი. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი მატერიალური რესურსი: რუკები, ცხრილები და სხვა. რესურსებად გამოყენებულია მოსწავლეთა ნამუშევრები. სარგებლობენ სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საშუალო და საბაზო) უცხოური ენის მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით განსაზღვრულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე მზა ტესტებს, ვიდეო-მასალებსა და ვიზუალურ საშუალებებს, განსაკუთრებით დაბალ კლასებში. ასევე გამოიყენება ტექნიკური რესურსები, როგორიცაა პროექტორი და კომპიუტერი. აღნიშნული რესურსები წარმოადგენს სასწავლო პროცესის შემადგენელ ნაწილს და უზრუნველყოფს სწავლების ორგანიზებას კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო)** სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციებში თუ საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს რომ ძირითადი თუ დამხმარე რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა, ელ. რესურსები. მატერიალური თუ ფიზიკური რესურსები ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია , თუ სხვა თანაბრად არის ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისა თუ მასწავლებლისთვის, ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ თითოეულ კაბინეტზე გამოკრულია მათი სარგებლობის წესები და განრიგი, რომლის მიხედვითაც ხდება მათი გამოყენება სკოლის მიერ დამატებით რესურსებად გამოიყენება ტვ სკოლის გაკვეთილები, ხანის აკადემია, საშინაო სკოლა, სსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სახელმძღვანელოები და ბარათები, ილუსტრაციები. ჩანს რომ სკოლაში არსებული ყველანაირი რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლის თუ მასწავლებლისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელომძღვანელოებს იყენებს სკოლა, დანართის სახით გადმოგზავნილია, რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებშიც ჩანს

	დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება. წლის დასაწყისში ძირითადი და დამატებითი რესურსები დამტკიცებულია კათედრის სხდომაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები სტანდარტულად, — სახელმძღვანელოები, GeoGebra, Desmos და Khan Academy. ზოგიერთგან რესურსების ჩამონათვალი ზოგადია (როგორც ზემოთ აღნიშნა ექსპერტმა), თუმცა გასაუბრებისას პედაგოგებმა მოიყვანეს რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ იყენებენ კონკრეტულ რესურსს კონკრეტული აქტივობის განხორციელებისას (მაგ.GeoGebra-ს და Desmos-ს გრაფიკების ასაგებად და ა.შ.) **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმის რესურსების ნაწილი მოწმობს და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს. კერძოდ: მატერიალურ რესურსს- არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს; ძირითად საგანმანათლებლო რესურსს- დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევს და გზამკვლევებს მასწავლებლისათვის სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით საბაზო და საშუალო საფეხურისათვის, პრეზენტაციებს თეორიისათვის; დამხმარე ელექტრონულ რესურსს - ვიდეორგოლებს ვარჯიშის ტექნიკის სწავლებითა და ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი, კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლების პროცესში

	გამოყენებულია კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით სკოლებში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული საგნის გრიფირებული სახელმძღვანელო, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას და შეესაბამება საგნობრივი კურიკულუმის მოთხოვნებს. ძირითად სასწავლო რესურსად გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა **school.emis.ge**, სადაც წარმოდგენილია სასწავლო მასალა, თემები და აქტივობები. დამატებით, მასწავლებელი იყენებს დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებს, როგორიცაა **YouTube**, ინტერნეტის საძიებო სისტემები და ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის მოძიებაში, თემების უკეთ გააზრებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაში. ამასთანავე, მასწავლებელი ქმნის საკუთარ ციფრულ სასწავლო რესურსებს (პრეზენტაციები, ინსტრუქციები, სავარჯიშოები), რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის ადაპტირებას მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების მიხედვით. სასწავლო პროცესში მოსწავლეები პრაქტიკულად მუშაობენ სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამასა და ვებ-ინსტრუმენტთან, მათ შორის: **Microsoft Office** პროგრამებზე (Word, Excel, PowerPoint), **Paint / Paint 3D**, ასევე **Microsoft Office 365** გარემოში (OneDrive). პროგრამირების საბაზისო უნარების განვითარების მიზნით გამოიყენება ისეთი საგანმანათლებლო პლატფორმა, როგორიცაა **Scratch** (scratch.mit.edu). აღნიშნული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციების განვითარებას, პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას და აქტიური, ინტერაქტიული სასწავლო პროცესის განხორციელებას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში სისტემურად იყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტიან განხორციელებას და თანამედროვე ციფრული გარემოს ინტეგრირებას სწავლა-სწავლების პროცესში.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი მრავალფეროვანი რესურსები რასაც იყენებენ სასწავლო პროცესში, ეს კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ცოდნის მიღება/გაღრმავებას. **რჩევა**: სასურველია, ბუნებისმეტყველების და მათემატიკის კურიკულუმის რესურსების გრაფაში მითითებული იყოს ყველა ის დამატებითი სასწავლო რესურსი და ელ.რესურსების ბმულები რასაც იყენებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსი რომელსაც სკოლა იყენებს კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობის განხორციელებისას შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ (მათ შორის, ენის, ეროვნების, სქესის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების და სხვა ხასიათის) ელემენტებს. ან რაიმე ნიშნით არ იწვევს სასწავლო პროცესისათვის ხელის შეშლას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი N1-ელი ოქმისა და კათედრის სამოქმედო გეგმის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას: სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში

	განიხილება იმ დამატებით რესურთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. **რჩევა:** **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო საფეხურზე** შემოქმედებით პროდუქტში/იდეა-მიზანი ჩაშენებული ელექტრონული რესურსები სასურველია, წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათავლისწინებით შერჩეული ან შექმნილი და კომპლექსური დავალების განხორციელებისათვის რელევანტური. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენის კათედრის მიერ გადმიგზავნილი სამივე საფეხურის დოკუმენტაციიდან ჩანს რომ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელო ძირითადი რესურსია. სკოლაში ფუნქციონირებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესი, რომელიც ხორციელდება სისტემურად და მიზნობრივად. აღნიშნულ პროცესში აქტიურად მონაწილეობენ უცხოური ენების კათედრის წარმომადგენლები. მათი ჩართულობა უზრუნველყოფს რესურსების შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან და კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებთან, რაც ხელს უწყობს რესურსების ხარისხის შენარჩუნებასა და სტანდარტებთან შესაბამისობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურის** სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციიდან ჩანს რომ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები ძირითადი რესურსია და შეთანხმებულია სამინისტროსთან. დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები და მათ შორის ელექტრონული რესურსები, თვალსაჩინოებები, რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვა განხილულია საგნობრივ კათედრებზე და შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან, , რომელიც სწავლის დასაწყისში საგნობრივ კათედრებზე განიხილეს შეათანხმეს სკოლის ადმინისტრაციასთან.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმდგენილი სხდომის ოქმით დამტკიცებულია ის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. წლის განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე, იქმნება სახელმწიფო ენის შესწავლისთვის აუცილებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსიც. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ ვალიდური ელექრონული რესურსების შექმნის პრაქტიკა სახელმწიფო ენის კათედრის ძლიერი მხარეა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	არც ერთ დოკუმენტში არ ჩანს, როგორ შეირჩა დამხმარე რესურსები, თუმცა ისინი რაც პედაგოგებმა შეარჩიეს და კურიკულუმებში შეიტანეს, გადამოწმებულია საგნობრივი ექსპერტის მიერ და მათი ვალიდურობა დასტურდება. **რჩევა:** (ეხება სამივე საფეხურს) სკოლის სასწავლო გეგმაში მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, რომ რესურსების შერჩევა ხდება გუნდურად ან პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამახამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდურია სასწავლო თემებისა და სამიზნე ცნებების მიმართულებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათ შესაბამისობის შემოწმებას სასწავლო მიზნებთან, სტანდარტებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. ამისათვის სკოლა იყენებს სისტემატურ მიდგომას, რომელიც მოიცავს რესურსების შერჩევას, შეფასებას და გამოყენებამდე მათ გასინჯვას. მასწავლებლები ჩართულნი არიან ამ პროცესში, რათა დარწმუნდნენ, რომ რესურსები ხარისხიანია.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	რესურსების ვალიდაცია ხორციელდება ვალიდაციის წესის შესაბამისად. კათედრის მიერ წარმდგენილი სხდომის ოქმით დამტკიცებულია ის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. წლის განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე იქმნება შესწავლისთვის აუცილებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსიც, რაც შერჩეულია ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. დამხმარე რესურსი შესაბამისი და ვალიდურია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

სასწავლო კაბინეტები და საკლასო ოთახები, სასწავლო და მეთოდური ლიტერატურა, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (კომპიუტერები, ინტერნეტი, პროექტორები), ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო ინვენტარი, ბიბლიოთეკა, ასევე სხვა საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც აუცილებელია სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის.

მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება შესაბამისი რაოდენობით (მოსწავლეთა მცირე კონტინგენტის ფარგლებში).

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი ფიზიკური თუ ციფრული რესურსების სახით. **საბაზო და საშუალო საფეხური**

	სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ამასთან ლაბორატორაში არსებული რესურსები საკმაოდ მწირი და მოძველებულია. **ლაბორატორია საჭიროებს განახლებას,** ლაბორატორია არ არის აღჭურვილი გამწოვი კარადით, არ აქვს სადემოსტრაციო ცეცხლგამძლკე მაგიდა და სხვა საჭრო რესურსები, ასევე მცირეა ლაბორატორიისთვის გამოყოფილი ფართიც. ლაბორატორიის დღევანდელი მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს რაც ხელს უშლის ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევას საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით. ეს გააზრებული აქვს სკოლასაც, რის გამოც 2025 წლის 31 დეკემბერს (MES 9 25 0001863720) სკოლამ წერილი მისწერა ხელვაჩაურის რესურსცენტრს, სადაც ამბობს, რომ სკოლას არ აქვს მოწყობილი სკოლის ინფრასტრუქტურა და მათ შორის ლაბორატორიაც და სთხოვს, უშუამდგომლოს აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროსთან, რათა მოხდეს სკოლის ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც დააკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. ამის შესახებ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც პრობლების მოგვარების ვადად მითითებული აქვს 31.12.2025-30.11.2026 პერიოდი. **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში მითითებულ პერიოდში (31.12.2025 – 30.11.2026) უზრუნველყოს სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულყოფილად მოწყობა და აღჭურვა** **ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია. (საბაზო და საშუალო საფეხური)** **დაწყებითი საფეხურისთვის დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

	სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, წიგნადი ფონდი, სხვა რესურსები, წვდომა ინტერნეტთან). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კათედრის წევრებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რაც ქმნის წინაპირობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურის** სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ორივე საგანში სასწავლო შედეგები და შემოქმედებითი პროცესები უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით, რომელიც მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებითაა უზრუნველყოფილი. სკოლაში არსებული რესურსი ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისათვის სხვადასხვა ღონისძიებები, პროექტების, კონკურსებისა თუ სპორტული შეჯიბრებების დროს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	ზოგიერთ კურიკულუმში და კომპლექსური დავალების ბარათში ჩანს, რომ რამდენიმე აქტივობა ითხოვს გარკვეული მასალების ან ტექნიკის გამოყენებას (მაგალითად, საზომი სახაზავი, დაფა, კომპიუტერი). პედაგოგების თქმით, სკოლის მხრიდან ამ ნივთების მიწოდება უზრუნველყოფლია და იყენებენ კიდეც. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით და ინვენტარით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუსა და სასწავლო გარემოს სურათების დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სწავლებისთვის სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები. სკოლას აქვს შესაბამისი ავეჯით აღჭურვილი კეთილმოწყობილი კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკულ სასწავლო საქმიანობას და ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში ხელმისაწვდომია მატერიალურ-ტექნიკური რესურსები: ინტერნეტში ჩართული პერსონალური კომპიუტერები და პროექტორი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გამოიყენოს როგორც ციფრული სასწავლო რესურსები, ასევე ვიზუალური და საპრეზენტაციო მასალა. დამატებით გამოიყენება ს სხვადასხვა ვიზუალური რესურსი, რომლებიც ხელს უწყობს ინფორმაციის თვალსაჩინოდ წარმოდგენას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლს შედეგების მიღწევას. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების კვალიფიკაცია უმეტესწილად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა, რამდენიმე მასწავლებლის შემთხვევაში დაფიქსირდა შეუსაბამობა. კერძოდ, საბაზო და საშუალო საფეხურზე ფიზიკის მასწავლებლის და **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე** ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებელთა კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ასევე, დაწყებით საფეხურზეა ორი სპორტის მასწავლებელი კომპეტენციის დადასტურების გარეშე. დაწესებულებას აღნიშნულ საგნებში გამოცხადებული აქვს ვაკანსია, შესაბამისად აქვს მზაობა აღნიშნულ პოზიციებზე დაასაქმოს კვალიფიციური კადრი. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება, უზრუნველყოფს აღნიშნულ პოზიციებზე შესაბამისი კადრების დანიშვნას 2026 წლის 18 ნოემბრამდე.

რეკომენდაცია: სამივე საფეხურისთვის შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლამ უზრუნველყოს ფიზიკის, ხელოვნების, მუსიკის და სპორტის საგნებზე კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კადრების დასაქმება, არაუგვიანეს 18.11.2026 წლისა.

ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია (სამივე საფეხურზე).

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *განხორციელებული შემოქმედებითი დავალების ნიმუშები;*
- *პირადი საქმეები;*
- *შრომითი ხელშეკრულებები;*
- *კათედრის სამოქმედო გეგმა, სხდომის ოქმები;*
- *გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია ის, თუ როგორ, რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგის ფარგლებში ხდება

კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერი მხარეების გამოყოფა და იმ გამოწვევებისა და ასპექტების იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას.

ამ ეტაპზე სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლაში კურიკულუმის განხორციელების პროცესში მონიტორინგის მიზნით ხდება პროცესზე დაკვირვება, სკოლა ახორციელებს დიაგნოსტიკურ წერებს, კათედრაზე პედაგოგთა ურთიერთდასწრებებს და ასევე შემაჯამებლების ანალიზს. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ყველა ახალი სასწავლო წელი იგეგმება გასული სასწავლო წლის ანალიზის საფუძველზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ამ მიზნით სკოლაში ხდება გაკვეთილებზე დასწრება, დიაგნოსტიკური წერები, უკუკავშირის გაცემა, რომელიც ორიენტირებულია მხარდაჭერაზე და განვითარებაზე. სამივე საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით, კათედრები ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, საგნების მიხედვით ერთობლივად, ერთმანეთის აზრისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქმნიან სამოქმედო გეგმებს, მუშაობენ კურიკულუმების ფორმირებაზე, განსაზღვრავენ დამატებით რესურსებს, თემის ფარგლებში საკითხებს და შემაჯამებელ და შემოქმედებით პროდუქტებს, რომლებიც მორგებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგისა და შეფასების მთავარი მიმართულება სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერაა, რაც საბოლოო ჯამში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების გზების დასახვას ემსახურება. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სკოლა დეტალურად აანალიზებს კურიკულუმის ძლიერ და სუსტ მხარეებს, სამუშაო პროცესში ასევე იდენტიფიცირებულია ის ფაქტორები, რომლებიც აფერხებს კურიკულუმის წარმატებულ დანერგვას. აღნიშნულ ანალიზზე დაყრდნობით, კი სკოლა სამომავლოდ შეიმუშავებს სტრატეგიულ ხედვას, რასაც ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. ეს უზრუნველყოფს სკოლის განვითარების უწყვეტობასა და საგანმანათლებლო პროცესის მუდმივ ადაპტირებას არსებულ საჭიროებებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა (2025-2026 სასწ.წ);*
- *კათედრის სხდომის ოქმი N2 (პირველი სემესტრის შედეგების შეჯამებაზე 25.12.2025);*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სსიპ - ხელვვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის შეფასებისება ეფუძნება მრავალფეროვან წყაროებს, ეს მოიცავს როგორც მოსწავლეთა ნამუშევრებსა და აკადემიური მოსწრების მონაცემებს, ასევე მასწავლებლის დაკვირვებებს, მოსწავლეთა თვითშეფასებასა და მშობელთა უკუკავშირს. სკოლაში სისტემატიურად გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. კათედრების მიერ შემუშავებულია შეფასების რუბრიკები და ინსტრუმენტები, ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები. კათედრის ხელმძღვანელები სასწავლო წლის ბოლოს აკეთებენ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ, რის შემდეგაც მზადდება რეკომენდაციები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სოფელ კირნათის საჯარო სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მასწავლებლები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მონაწილეობას შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში, რაც ამაღლებს მათ პასუხისმგებლობას საკუთარ აკადემიურ პროგრესზე. ანალოგიურად, მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, თავად შეაფასონ საკუთარი ნამუშევრები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლის ეფექტიანობას. უკუკავშირის მიღებისას მოსწავლეებს უყალიბდებათ

რეალისტური წარმოდგენა საკუთარი მიმდინარე აკადემიური შესაძლებლობების შესახებ. ასევე, სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას, რის შესახებაც სისტემატიურად იღებს ინფორმაციას კლასის ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებლებისგან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ შეფასების პროცესში, რისთვისაც პრაქტიკაში სკოლა იყენებს თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასებას. ასევე პრაქტიკაში დანერგილია საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა უკუკავშირი და მათი ნამუშევრების ანალიზი. შეფასების მეთოდოლოგიური მრავალფეროვნება ეხმარება სკოლას მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარებისა და შესაძლებლობების სიღრმისეულ შესწავლაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, გამოყენებული სასწავლო რესურსები და მათი აკადემიური მომზადების დონე. შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, რომელიც პირდაპირ კავშირშია სწავლების ხარისხთან. სკოლა გეგმავს ამ მიმართულების კიდევ უფრო სიღრმისეულ დამუშავებასა და დახვეწას, რათა შეფასების სისტემა გახდეს კიდევ უფრო მოქნილი და ორიენტირებული თითოეული მოსწავლის პროგრესზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;*
- *სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი;*

- *მასწავლებელთა თვითშეფასების ფორმები;*
- *შეფასების რუბრიკები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის მიერ დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის გასულ სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. სკოლას აქვს

მზაობა წლის განმავლობაში აქტიურად დააკვირდეს კურიკულუმის დანერგვის პროცესს, შეაგროვონ მონაცემები და შემდგომ საჭიროებისამებრ განახორციელონ ცვლილებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავებას, დანერგვას, მონიტორინგსა და რევიზიას. სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლას აქვს მზაობა ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში შექმნას კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. აღსანიშნავია, რომ საგნობრივ კათედრებს განსაზღვრული აქვს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების სხვადასხვა აქტივობები: ურთიერთდასწრება, დიაგნოსტიკური წერები,თვითშეფასება. ასევე, კათედრის სხდომაზე განიხილება მონიტორინგისა და შეფასების მონაცემები, რათა შეიქმნას უფრო ეფექტური და სრულყოფილი კურიკულუმი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 01.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ნოდარ ანგურიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი სოფიკო ბოქოლიშვილი

რომანი გაბუნია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ინგა ხავთასი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სალომე ასათიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)